

სამეგრელოში მოვიდა რას წაქართველოთ ვინაჲ - რაი რას წაქართველოთ

# სამეგრელო

№ 11 (36) 1.11-1.12. 2014

ფასი 2 ლარი

ყოველთვიური გამოცემა



26

**ვალერი  
მეჭარაძე**  
არის თუ არა  
უბედესი  
განათლება  
ნარკოტიკის  
გარანტი

16

**„ეგრისობა“**  
26 წლის  
უბედობა

**რაზონ  
ჩხეიძე**

**„საჯიბალოს“  
უხუცესი ქაზი.  
რომელიც  
ამჟამინდელს  
ქალაქს**

5



## გილოცავთ გიორგობას

# ს ა რ ჩ ე ვ ი



გიორგობა .....	2
იონა მეუნარგიას ღვანლი და იონობა სამეგრელოში .....	4
„საჯიმალოს“ უხუცესი კაცი, რომელიც ამშვენებს ქალაქს — რეზო ჩხეიძე .....	5
„ჯორჯიან ამბასადორის“ ქართული სიტყვა ამერიკაში .....	10
ვარდო ნარმანია .....	12
„ეგრისობა“ 26 წლის შემდეგ .....	16
მოგონებები ნოველებად — გივი სიხარულიძე .....	18
ბაგრატ III 1000 — ერთიანი საქართველოს პირველი მეფე .....	20
ებოლას ეპიდემიასთან დაკავშირებით, საქართველო დაბალი რისკის ქვეყნებს მიეკუთვნება .....	23
ლეგენდა სიყვარულზე — სიმონ ჩიქოვანი და მარიკა ელიავა .....	24
არის თუ არა უმაღლესი განათლება ნარმატების გარანტი — ვალერი მაჭარაძე .....	26
მამა გიორგი თევდორაძე — კარი გამიღეთ... ..	28
მამა გიორგი თევდორაძე — როცა ცხონება ხდება მიზანი .....	29
ვალერიან ძამია .....	30
ჩვენი სინმინდეები — დავით კიკოლაშვილი .....	32
და რომ სახელი დიდი გქონია შენ სიცოცხლეში — კოტე აფხაზი .....	34
ვინ გააშენა კანადაში აფხაზური ბაღი — ნიკოლოზ აფხაზი .....	37
ხატოვანი გამონათქვამები .....	39
ნიორის 10 სასარგებლო თვისება .....	40

მთავარი რედაქტორი —  
**ნინო რეხვიაშვილი**

ტელ: 599 74 68 10

დამფუძნებელი —

**გონა გუტაშვილი**

ტელ: 599 53 58 94

კომპიუტერული უზრუნველყოფა

**დალი ჯვარციანი**

ტექსტი ააწყო

**თამარ გოზინაძე**

მისამართი: თბილისი, ლესელიძის

ქ. №27, მე-2ს., 790 74 68 10

ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

ჟურნალი „სამეგრელოს“ ემიგრანტ მეგრელებს  
და არა მარტო მათ, გთავაზობთ თანამშრომლობის

პროექტს - გამოგვიგზავნეთ მასალები,

ფოტოსურათები, რითაც შეძლებთ მოეფეროთ

თქვენს მონატრულ ქვეყანას, ოჯახებს და ამავე

დროს მხარში დაუდგეთ ჟურნალს.

ტელ: 599 74-68-10

**მეირფასო მკითხველო!**

გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. რაც შეეხება  
სარეკლამო ტექსტს, მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.

ჟურნალში მასალების განთავსება ფასიანია!



# გეორგიანთა დღესასწაული

**ეკლესია წმიდა გიორგის სსენებას ორჯერ დღესასწაულობს: 23 აპრილს (6 მაისს) – წმიდანის აღსრულების დღეს და 10 (23) ნოემბერს – მისი ბორბალზე წამების დღეს.**

გიორგობის დღესასწაულის და წმიდა გიორგის ღვანლის შესახებ ჩვენს ჟურნალს ტაძრის დეკანოზი მამა გიორგი სანამაშვილი ესაუბრა.

**მამა გიორგი:** „წმიდა მთავარმონამე გიორგი მოღვაწეობდა იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს, მესამე საუკუნის ბოლოს და მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში.

წმიდა გიორგის ეპოქა შეეჯახება ორ დიდ სარწმუნოებას, კერძოდ, კერპთაყვანისცემლობას და მართლმადიდებლობას, რა დროსაც მოწამეს უხდება აღიაროს საჯაროდ ქრისტე, რომლის გამოც არაერთ განსაცდელს შეამთხვევენ მას.

დიდმონამე გიორგი რომის არმიამი წარჩინებული მხედართმთავარია, დიდი ავტორიტეტის და გავლენის მქონე. დიოკლეტიანე მას დამატებით სამეფოს ნახევარს სთავაზობს, ოღონდ გიორგიმ დათმოს მისი სარწმუნოება – ქრისტე.

რისთვისაც მოწამე, გიორგი პასუხობს: “ჩვემთვის ცხოვრებაა ქრისტე და სიკვდილი შესაძინელ”. ანუ მოწამემ უშიშრად აღიარა ჭეშმარიტება და თქვა, რომ ქრისტიანობა მისი ცხოვრების წესია, რომ უნდა განაშოროს იგი ქრისტეს სარწმუნოებას, როგორც ამას პავლე მოციქული ამბობს: “რამ განაშოროს ქრისტეს ჭირმან, ანუ ინროებამან, შიშმან ანუ დევნულებამან,” და ახოვანმა მოღვაწემ თავი მიუშვირა ჯალათის მახვილს.

არაერთი წამების მოწმე გახდა წმიდანი, ხან ურმის თვალზე დააკრეს, ხან გავარვარებულ კირის ღუმელში მოათავსეს, ხან რკინის ჩექმები ჩააცვეს, რომელშიც წვერწამახვილებული ლურსმნები იყო დამაგრებული, რათა დაჩხვლეტოდა ფეხები და ისე არბენინეს. მაგრამ ყოველი წამების დროს წმინდანს თავად ქრისტე აძლიერებდა და სასწაულებრივად განკურნავდა.

დიოკლეტიანეს უმთავრესმა ქურუმმა გრძნეუ-



ლმა ხერხს მიმართა და მეფე დიოკლეტიანეს სთხოვა ებრძინებინა წმინდანისათვის მკვდრის გაცოცხლება, წმიდანმა კი ქრისტესადმი ლოცვით აღადგინა მკვდარი.

მოგესხენებათ, რომ წმიდა გიორგის მთელი მსოფლიო სცემს თაყვანს მაგრამ წლის განმავლობაში 23 ნოემბერს და 6 მაისს (თარიღები ჩვენებია ახალი სტილით) მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია აღნიშნავს.

ეს მეტყველებს იმაზეც, რომ საქართველოში წმინდანს განსაკუთრებით სცემენ თაყვანს.

23 ნოემბერს მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესია წმინდის ბორბალზე წამებას აღნიშნავს, 6 მაისს კი მისი თავის კვეთას მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია აღნიშნავს. საქართველოში რომ განსაკუთრებულად დიდ პატივს მიაგებენ წმინდანს ეს XVIII საუკუნის ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვებიდანაც ჩანს. “არა არს საქართველოში არცა მთანი და არცა მაღალნი ბორცვნი სადაცა არ იყოს ტაძარნი ანუ ნიშანი წმიდისა გივარგისანი”.


## **გვიამბეთ ამბავი წმიდა გიორგის შეწვევის შესახებ.**

წმინდის წამების შემდეგ, როდესაც მან სული უფალს შეავედრა, ერთ ქალაქში, რომელსაც ლასია ეწოდებოდა, მეფობდა სელინოსი, რომელიც იყო უკეთური, კერპთმსახური, უღმობელი ქრისტიანების მიმართ. მეფე სელინოსს მშვენიერი ასული ჰყავდა.

ქალაქს პატარა ტბა ჰქონდა. ტბის მახლობლად ურჩხული ბინადრობდა, მეფემ მოიწვია ქალაქის მთავრები და ხალხთან კრება გამართა. გადანყვიტეს, ყოველწმინდანს თითო ოჯახიდან ასული მიეცათ ურჩხულისათვის და ასეც მოხდა. მრავალმა ადამიანმა გაიმეტა მისი ერთადერთი ასული ურჩხულისათვის, რომ მას ქალაქი არ დაენგრია. ბოლოს მეფის ასულზეც მიდგა ჯერი და როდესაც შეწუხებულმა მეფემ



ტირლით გააცილა ტბისკენ მისი მშვენიერი ასული, რათა ურჩხული დაუფლებოდა მა ს, ტბიდან თეთრი ცხენოსანი ჭაბუკი გამოვიდა ლამაზად აღკაზმული მხედარი, რომელსაც თოკით შეკრული ურჩხული წყლიდან გამოყვა და ჭაბუკმა თოკი ასულს გაუნოდა რათა დამარცხებული ურჩხული თავად ასულს მიეყვანა ქალაქში, ხალხის საჩვენებლად და ჭაბუკი გაუჩინარდა. როდესაც მეფემ დაინახა ქალიშვილი დამარცხებულ ურჩხულთან ერთად გაოცებამ შეიპყრო იგი და მთელი ქალაქი. ხოლო როდესაც დაიწყეს ძებნა იმ ახოვანი ჭაბუკისა, რომელსაც ეს დიდი გმირობა ჩაედინა, მაშინ ერთ-ერთ ქრისტიანული ტაძრის ფრესკაზე ამოიცნეს ის ჭაბუკი, წმიდა გიორგი.



**სად ინახება წმიდა გიორგის წმინდა ნაწილები?**

წმიდა გიორგის წმინდა ნაწილები სხვადასხვა ქალაქში არის შემონახული, მაგრამ მუხლის ნაწილი წლების განმავლობაში ინახებოდა სიონის საპატრიარქო ტაძარში, ხოლო როდესაც წმინდა სამების საკათედრო ტაძარი იკურთხა, მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის ლოცვა-კურთხევით მუხლის ნაწილი სამებაში იქნა დაბრძანებული. საგულისხმოა წმინდა გიორგის უკანასკნელი ლოცვა ქრისტესადმი, იგივე თხოვნა და ანდერძი, სადაც ის მაცხოვარს თხოვს:

“შემხებელი ჩემს ნაწილზე, სარწმუნოებით განკურნე და თითოეული ნაწილი ძვლისა ჩემისანი ჰკურნავდეს სარწმუნოებით შემხებელ სნეულს”. და ეს მართლაც, რომ ასე ხდება. მრავალი ადამიანი განკურნებულა წმინდანის ნაწილთა შესხებით.

**ყველას გილოცავთ მთავარმონაგე გიორგის უდიდეს დღესასწაულს, ღმერთმა წმიდა გიორგის მეოხებით დაიცვას და დაიფაროს სრულიად საქართველო ამინ!**

**წმიდა გიორგის სიკვდილისწინა ლოცვა-ვედრება ღმერთისადმი**

უფალო ღმერთო ჩემო, რომელი ხარ შემოქმედი ყოველთა საუკუნეთაი, რომლისა მიმართ მოვივლტოდე სიყრმით ჩემითგან, რომელი უწინარეს თხოვისა მისცემ ნიჭთა შენთა მოყუარეთა შენთა, ყოვლად ძლიერო და სახიერო და კეთილო ქრისტეანეთა სასოებაო და უტყველო მონათა შენთაგანთა აღთქმაო, რომლისა-ეგე დიდებანი გამოუთქმელ არს და სუფევაი დაუსრულებელ, შენ, უფალო, ისმინე ჩემი, რომელმან მომმადლე მე ღვანლსა ამას წამებისასა ვიდრე აღსასრულამდე სრულყოფაი და ტანჯვათა შინა მოთმინებაი. ანცა, სახიერო, შეინყნარე სული ჩემი და იხსენ იგი ეშმაკთა მათგან განმკითხველთა, რომელნი არიან ჰაერთა შინა, და სათნოთა შენთა თანა შემრაცხე მე და შეუნდვე წარმართთა ამათ, რაოდენიცა რაი ძლიერი ყვეს ჩემდა მომართ და ნეტართა მათ მონათა შენთა, რომელნი-იგი სახელისა შენისათვის იწამნეს, და განანათლენ ესენი ცნობითა ჭეშმარიტებისა შენისაითა, რამეთუ ყოველთა კაცთა გნებავს ცხორებაი და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაი.

მოხედე, უფალო, სიმდაბლესა ზედა ჩემსა და მომმადლე თხოვაი ესე ჩემი, რომელსა ვითხოვ შენგან, რამეთუ ვინაითგან მრავალნი ვლიან, რათა მიიღონ ძვალთა ჩემთაგან, ამისთვის შეუფრდები მოწყალებასა შენსა. მოეც, უფალო, მადლი ძვალთა ჩემთა, რათა ყოველი კაცი, რომელი სარწმუნოებით იხილვიდეს და შეიმთხვევდეს, მოაქვდეს მას მადლი და კურთხევაი და შენდობაი ცოდვათაი. და უკეთუ ვინმე ჩვენებასა იხილვიდეს ანუ დგეს საშჯელსა შინა საშინელსა და მოიხსენოს სიმდაბლე ესე ჩემი, ყავ განთავისუფლებანი მისი, თვინიერ ჭირისა და განსაცდელისა. და რაჟამს მოიღრუბლოს ცათა სეტყვად ქვეყანისა და მოიხსენონ მუნ მდგომარეთა წამებაი ესე ჩემი, ნუ მივალნ ადგილსა მას ჰაერი მავნებელი, არამედ ცვარი მშვიდობისაი იყავნ საკურნებელად მათა. უფალო, ღმერთო, მოეც მადლი, რომელი იხსენებდეს წამებასა ღვანლისა ჩემისასა და ნუ იყოფინ შეკრვაი სულთა და ხორცთა მათთაი, ნუცაღა კეთროვანებაი ასოთა მათთა, ანუ თუ სხვაი რაიმე წყლულებანი, რომელი იყოს მტერისა მიერ, არამედ მიუტევენ შეცოდებანი მათნი და განკურნენ საღმობანი მათნი, ვითარცა სახიერმან და კაცთმოყვარემან ღმერთმან, რამეთუ შენ მხოლომან უწყი, ვითარმედ ხორც და სისხლ არიან და შენ თავადმან იცნი ალაგნი კაცთანი და შენ უწყი, უფალო, მაცთური მათი მტერი და სიბოროტე მისი, რომელი-იგი შემუსრე ქვეშე ფერხთა მათთა ადრე. და ნუ იყოფინ ბრალი და ბიწი ყოველი, რომელი იკითხვიდეს, გინა ისმენდეს წამებასა ჩემსა. გარდამოუვლინე, უფალო, შენვენაი მვედრებელთა შენთა და მიეც მათ შიში შენი და სურვილი წმიდათა შენთა სიყვარულისაი, რათა აღასრულებდენ სახსენებელსა მათსა და მიემსგავსნენ სარწმუნოებასა მათსა, რათა ღირს იქმნენ მათ თანა ცხორებასა ზეცისასა და სუფევასა საუკუნესა, რამეთუ შენი არს სუფევაი, ძალი და დიდებანი მამისა და ძისა და წმიდისა სულისაი ან და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე, ამინ.



# იონა მეუნარგიას ღვაწლი და იონობა საზოგადოებაში

**იონა მეუნარგია** დაიბადა 1852 წლის 26 ნოემბერს ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშში, დეკანოზ მიხეილ მეუნარგიასა და სუსანა განერელიას ოჯახში. მან დაწყებითი განათლება მიიღო მარტვილის სამრევლო სკოლაში, შემდეგ დაასრულა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი და სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1874 წელს, როგორც პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო გარიცხეს სემინარიიდან. იმავე წელს ი. მეუნარგიამ სწავლის გასაგრძელებლად ევროპას მიაშურა. იგი ორი წლის განმავლობაში ჟენევის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო.

1877 წელს იგი ცოდნის გასაღრმავებლად პარიზში გადავიდა, სადაც დიდი გულისყურით ეცნობოდა საფრანგეთის ლიტერატურას, ხელოვნებას, პარიზის კულტურული და შემოქმედებითი ცხოვრების მიდინარებას. იქვე ჰქონდა შეხვედრა ფრანგული მწერლობის ცოცხალ კლასიკოსთან – ვიქტორ ჰიუგოსთან.

1878 წლის მინურულს იონა მეუნარგია სამშობლოში დაბრუნდა და როგორც იტყვიან, მთელი არსებით ჩაება

საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრების საერთო ფერხულში. იგი დაულაღადავად თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. ენერგიულად იღწვოდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.

იონა მეუნარგია – ერისა და პიროვნების თავისუფლებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი თავადაც თავისუფალი ადამიანის ცოცხალ მაგალითად რჩებოდა, ის არასოდეს ჩამჯდარა ხელმწიფის ნავში, რათა ხელშეკრული არ ყოფილიყო საზოგადოებრივ საქმიანობაში. იგი ყოველთვის არჩევით თანამდებობებზე მუშაობდა. 1891–1894 და 1907–1913 წლებში იონა არჩეულ იქნა ფოთის ქალაქის თავის მოადგილედ. 1898–1907 წლებში მომრიგებელ-შუამავლად მოღვაწეობდა ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმის მაზრებში.

იონა მეუნარგია მოესწრო მისი და მისი თაობის სანუკვარი ოცნების აღსრულებას – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას (1918 წლის 26 მაისი). ამით აღფრთოვანებული და ფრთაშესხმული




იგი განახლებული ენერგიით ჩადგა ახალგათავისუფლებული სამშობლოს სამსახურში. მაგრამ საქართველოს თავისუფლებაზე უფრო ხანმოკლე აღმოჩნდა მისი მოღვაწეობის ეს პერიოდი. იგი ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 1919 წლის 15 მაისს გარდაიცვალა 71 წლის ასაკში. დაკრძლეს ცაიშის ეკლესიის ეზოში, წინაპართა გვერდით, საგვარეულო საძვალეში.



# „საჭიშაღოს“ უნუხასი ქაში, ნოპაღის ამუჰენაჰს ქაღაჰს

## რეზო ჩხეიძე



1928 წლის 14 სექტემბერს, ქ. ზუგდიდში იოსებ ჩხეიძის ოჯახში დაიბადა მეორე ვაჟი, მშობლებს შვილისთვის რეზო დაურქმევიათ. სასიყვარულოდ და საალერსოდ „ქვათა“-ს ეძახდნენ. მოგვიანებით კი საძმოში „ცომა დაარქვეს“.

ჩხეიძეების გვარი ეკუთვნის მსხვილ ფეოდალურ საგვარეულოს ძველ საქართველოში. „მთავარია შორის უნარჩინებულესი და შემძლებელი“, ასე მოიხსენიებს ჩხეიძეებს ვახუშტი ბატონიშვილი „ქართლის ცხოვრებაში“, რეზო ჩხეიძის ბაბუა ანდრია ჩხეიძე სოლომონ მეფის დროს საქართველოში რუსეთის იმპერიული ჯარების შემოსვლის პერიოდში, 1950 წელს ოჯახით იმერეთიდან წამოსულ და ზუგდიდში დასახლებულა.

ბატონი რეზო და მისი და-ძმა, ნოდარი და ნათელა მშობლებს ერთნაირი, განურჩეველი სიყვარულით უყვარდათ. ოჯახური სიტბო, მზრუნველობა და ურთიერთპატივისცემა დღესაც

სუფევს ბატონ რეზოს დიდ ოჯახში, 55 წელია მას გვერდს უმშვენებს საყვარელი მეუღლე, ქალბატონი ლია, რომელიც მეუღლესთან ერთად ღირსეულად უძღვება სტუმართმოყვარე ოჯახს.

უზადო მეგობარი, გულმხურვალე ქომაგი და მთესველი სიკეთისა, საოცარი შემოქმედი და მასწავლებელი, უზადლო პროფესიონალი, ზუგდიდის კოლორიტული ფიგურა, ღვანლმოსილი ქორეოგრაფი, მაღალი პასუხისმგებლობის, სათანადო პედაგოგიური განათლებისა და კულტურის პიროვნება... ასე ახასიათებენ ბატონ რეზო ჩხეიძეს.

„რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების“ უთქვამს შოთა რუსთაველს და მართლაც, ღვთის ნების გარეშე არაფერი ხდება. რეზო შემთხვევით არც ცეკვის სამყაროში მოხვდა, ამის ნიჭი და მონაცემები ბავშვობიდანვე დაანათლა უფალმა, ჯერ კიდევ ბალის ასაკიდან დაინტერესდა ცეკვით. ის დღესაც მონივნებით იხსენებს ან განსვენებული ქ-ნ ანეტა იაშვილს, რომელიც დახვეწილობითა და გრაციოზულობით ხიბლავდა მაყურებელს.

მძვინვარე სამამულო ომის პერიოდში 1942 წელს მეექვსე კლასელმა პატარა შავტუხა ბიჭმა, ასე ვთქვათ, პირველი ქორეოგრაფიული ნათლობა სწორედ ზუგდიდის ეთნოგრაფიულ ანსამბლში მიიღო, მისი პირველი მასწავლებელი გახლდათ ქორეოგრაფი ვარლამ ალანია, ხოლო იმჟამად ანსამბლს ხელმძღვანელობდა პარტიის რაიკომის პირველი მდივნის გიორგი ჩაჩიბაიას მიერ



ნებისმიერი კულტურა სულის სანკვა,  
ქართული სეკვა ქართული კულტურის  
ერთ-ერთი თვარმანგარიცია, რომელ-  
შიც ნათლად არის განცხადებული ჩვენი  
შინაური სამქართო.

კათოლიკოს-პატრიარქი  
ილია II



მონვეული ლოტბარი, ბრწყინვალე პიროვნება კინი  
გეგეჭკორი.

დაუფინყარი ურთიერთობა და მოგონებები  
აკავშირებს ბატონ რეზოს ცნობილ  
ქორეოგრაფებთან, ესენი არიან: სოსო ციმაკურიძე,  
მიმა ბიდევი, გივი ჩახავა და სხვები.

1947 წლიდან კი დაფრთიანებული ჭაბუკი  
ზუგდიდის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო  
ანსამბლის წამყვანი მოცეკვავეა. ხოლო  
მოგვიანებით მას ნიშნავენ ამავე ანსამბლში  
ქორეოგრაფის თანამდებობაზე.

1952 წელს ბატონი რეზო გაემგზავრა თბილისში  
სასწავლებლად . ის სწავლის პარალელურად  
თავისუფალ დროს, არ ღალატობდა რა საყვარელ



პროფესიას, ხშირად სტუმრობდა მეგობარ  
კოლეგებს, რომლებიც იკრიბებოდნენ პლენანოვის  
გამზირზე მდებარე ფილარმონიის პარკში,  
სწორედ აქ ბედმა ისევ გადაკვეთა დიდი ჯანო  
ბაგრატიონისა და რეზო ჩხეიძის გზები. ჯანო  
ბაგრატიონის სოხუმში მოღვაწეობის დროს  
კარგად დამახსოვრებია გასტროლებზე მყოფი  
ზუგდიდის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო  
ანსამბლის მთავარი წამყვანის ბატონ რეზო ჩხეიძის  
ყველა ცეკვა, და ჯერ კიდევ მაშინ შეუთავაზებია  
თავის ანსამბლში გადასვლა, მაგრამ რეზოს ვერ  
ულალატია იროდი კალანდაძისათვის და საოცნებო  
სურვილი ვერ განუხორციელებია. მაგრამ, როგორც  
ზემოთ ავლნიშნეთ, ჯანო თბილისში შეხვედრისას  
კვლავ შეუთავაზებია და მიუწვევია რეზო ჩხეიძე  
ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის  
სახელმწიფო საესტრადო ანსამბლში, რომელიც  
თავად ჯანო ბაგრატიონმა ჩამოაყალიბა 1953 წელს.

ანსამბლის დაარსების დღიდანვე რეზო  
ჩხეიძე იწყებს ნამდვილ აქტიურ შემოქმედებით  
მოღვაწეობას, ის მუხლჩაუხრელად შრომობდა და  
მალე დაიმსახურა სიყვარული და პატივისცემა  
მეგობრებში.

1955 წელს რეზო ჩხეიძე ბრუნდება მშობლიურ  
ქალაქში, სადაც შოთა ბიგვაგასთან ერთად

„საჯიმალოში“ უხუცესი მრევლი ბრძა-  
ნდებით, თუმცა თქვენი აქტიური ცხოვრება  
და ახალგაზრდული შემართება ხალისს  
მატებს ქალაქს. „საჯიმალოში“ თქვენი  
გამოჩენა სულის ზეიმია, თქვენ უხდებით და  
ამშვენებთ ქალაქს.

ჟურნალი „საფარველი“.



ჩამოყალიბდა პროფკავშირებთან არსებულ ცეკვისა და სიმღერის რაიონული ანსამბლი. ნლების განმავლობაში ის სათავეში ედგა არსებულ ანსამბლს, მუშაობდა სარაიონო კულტურის სახლში ინსპექტორის თანამდებობაზე, შემდეგ კი სამხატვრო ხელმძღვანელად.

ათეული წელი კეთილსინდისიერად და პირნათლად ეწეოდა ბატონი რეზო პედაგოგ—ქორეოგრაფის საკმარისი უაღრესადსაპატიო ტვირთის. მან შექმნა ქორეოგრაფთა პლეადა (რ. ქარჩავა, ჯ. ქობალია, ძმები მოსიები) ისინი ჩამოყალიბდნენ პროფესიონალ ქორეოგრაფებად და ღირსეულად გააგრძელეს ამაგდარი მასწავლებლის დაწყებული საშვილიშვილო საქმე.

ვინ მოსთვლის, თვითონ ბატონ რეზოს რამდენჯერ დაუნთია ცეცლი სცენაზე, გაუცოცლებია და მიუნიჭებია ესთეტიკური სიამოვნება

მაყურებლისათვის, მისით აღფრთოვანებულ მაყურებელს კი ოვაციებით და ტაშის გრიალით გაუცილებია სცენიდან.

სიახლე, ძიება, ნორჩებზე ზრუნვა ამრავალფეროვნება მის ცხოვრებას, თავმდაბლობა, უბრალოება, თავშეკავება და პროფესიული ოსტატობა მაღლა სწევდა მის პირად ღირსებებს, თავისი მოღვაწეობის მანძილზე ცდილობდა ქართულ ცეკვასთან ერთად ქართული სიტყვის, ქართული ლექსის, ქართული ჰანგის, ქართული მინის სიყვარულითა და ქართული სუნთქვით აღეზარდა მომავალი თაობები.

რეზო ჩხეიძე დღეს ახალგაზრდული ენერჯითა და ხალისით აღსავსე ამაყად დააბიჯებს ქალაქის ქუჩებში, მისი ყოფილი მოსწავლეები მოწინებით ესალმებიან და გულთბილად და მადლიერებით მოიკითხავენ, ეს გახლავთ მთელი მისი დაუცრომელი პედაგოგიური მოღვაწეობის საუკეთესო შეჯამება. დიდია მისი ღვაწლი თაობათა წინაშე, მას შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა №1, №2, №3, №6 სკოლის აღსაზრდელებთან, მიღებული აქვს პირველი ხარისხის დიპლომები და სიგელები ოლიმპიადებსა და ფესტივალებში მონაწილეობისათვის.

„ბაბუს“ გული კვლავ ახალგაზრდულად ძგერს და თავის შემოქმედებით მოღვაწეობას ხალისით აგრძელებს საყვარელ შვილიშვილებთან, ღმერთმა უმრავლოს საქართველოს ასეთი გულანთებული მამულიშვილები.



# მასწავლებელთა

# 86

# რეზო ჩხეიძე



რეზო ჩხეიძე

მეცნიერებათა  
საქართველოს  
აქადემიის წევრის  
დოქტორის, პროფესორის  
რეზო ჩხეიძის  
სახსრად

ქართული საკვირის სადიდებელი

გამორჩენილი ადამიანები ქართული  
ხალხური ქორეოგრაფიის შესახებ

თბილისი  
2007

მეცნიერებათა  
საქართველოს  
აქადემიის  
რეზო ჩხეიძის  
სახსრად



ბატონო რეზო!

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი გულითადად მოგესალმებათ თქვენ, ცნობილ პიროვნებასა და პედაგოგ-ქორეოგრაფს.

გილოცავთ დაბადებიდან 85-ე წლისთავს, გისურვებთ დიდი ხნის ჯანმრთელ სიცოცხლესა და ადამიანურ ბედნიერებას.

განვლილი ცხოვრების დიდი ნაწილი თქვენ, უშურველად და სიყვარულით მიუძღვენი ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების პროპაგანდა-პოპულარიზაციის საქმეს. თქვენს მიერ შექმნილმა და გამოწვრილებილმა საბავშვო ანსამბლებმა მრავალი ქვეყნის მოვლა მოასწრეს. მათ ჩვენს ქვეყანას უამრავი თავყვანისმცემელი და გულშემატკივარი შესძინეს.

თქვენ, ბატონო რეზო, დღესაც აქტიურად განაგრძობთ პედაგოგიურ-საკონსულტაციო საქმიანობას, თავდაუზოგავად ემსახურებით ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის საქმეს, ხართ უღალატო მეგობარი და პატრიოტი საკუთარი ქვეყნისა.

კიდევ და კიდევ მრავალი წელი გვენახეთ ამ თქვენთვის და ქვეყნისათვის ძვირფასი საქმის სამსახურში.

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობის გადაწყვეტილებით თქვენ ჯილდოვდებით „საქართველოს ქორეოგრაფიის ამაგდარის ორდენით“, რომელიც გადმოგეცემათ სამების დიდ საკათედრო ტაძარში დაგეგმილ საიუბილეო ღონისძიებაზე.

ულრმესი პატივისცემით,

ლალი (რეზო) ჩანიშვილი

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე, პროფესორი

მეცნიერებათა  
საქართველოს  
აქადემიის  
რეზო ჩხეიძის  
სახსრად!

დიდი ჯანმრთელობის  
და მისი მემკვიდრეობის  
მადლობაში  
აიხლოვებით.

ულრმესი პატივისცემით  
დადიანი  
ნ. ჯ. ჯ. ჯ. ჯ.

# მასწავლებელი

## ჩემი ჩემი ხმამაღლა



**14 ს ე მ ბ ე მ ბ ე რ ი**  
**14.00 ს ა ა ტ ი**

**გულა ღვინის სხელების დანამუშავების**  
**მისთვის შეწყობილი დანამუშავების**  
**პროცესის დასრულების საზეიმო საღამო**

---

ზუბილის მუნიციპალიტეტის  
 აკადემია

ა.ა.ი.პ. ზუბილის მუნიციპალიტეტის  
 მუსიკალურ-კორეოგრაფიული მხედარი  
 „მღვიმე“



# „ტორტიან ამბასადორის“

## ქართული სიტყვა ამერიკაში


### 55 წლის შემდეგ ნიკო თოფურია სჯარტიუკოში

ნიკო თოფურია მარტვილის რაიონის სოფელ ხუნწში დაიბადა, სადაც მისი წინაპრები აბაშიდან გადმოსახლებულან და მარტვილის მონასტრიდან სამ კილომეტრში დაფუძნებულან. ნიკოს მშობლებს - დონია ფაილოძესა და დომენტი თოფურას ექვსი შვილი ჰყავდათ. ცხოვრობდნენ 1914 წელს აშენებულ დიდ მეგრულ ოდაში. ვრცელ ეზოში მოჰყავდათ ბამბა, უვლიდნენ ცხვარს, აბრეშუმის ჭიას, ქსოვდნენ უხემ ქსოვილ "ფართალსა" და "ლართს". მრავალი წლის შემდეგ, ემიგრაციაში დაწერილ მემუარებში ნიკო თოფურიამ დიდი სიყვარულით აღწერა მშობლიური სოფელი, დედუღეთი და თავისი სიყვარული.

ბავშვობაში ნიკოს ჰეპატიტი აღმოაჩნდა და სამკურნალოდ თბილისში ჩაიყვანეს. ბიძამის, პლატონ თოფურას და მის მეუღლეს, დარიკოს შვილი არ ჰყავდათ, პატარა ნიკო ძალიან შეუყვარდათ და საცხოვრებლად თავისთან დატოვეს. 1937 წელს დაამთავრა თბილისის 32-ე საშუალო სკოლა. 1938 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქიმიის ფაკულტეტზე, მაგრამ სწავლა არ დასცალდა. 1941 წ. ნოემბერში ომში გაიწვიეს. 1942 წ. სექტემბერში ყუბანის სტანიცა "გარიაჩიე კლუჩის" მიდამოებში ფეხში დაიჭრა, გერმანელებმა შეიპყრეს და კრასნოდართან ტყვეთა ბანაკში მოათავსეს. 1943 წ. ნიკო თოფურია ქართველი და აზერბაიჯანელი ტყვეებისგან ჩამოყალიბებულ შრომით ბატალიონში ჩაწერეს. ყირიმსა და ქერჩში სანგრებს თხრიდა. აქ მეორედ დაიჭრა ფეხში. ოდესაში გადააფრინეს და ერთი დღით გაასწრო ტრაგედიას: მისი ბატალიონის წევრები საბჭოებმა შეიპყრეს და გაანადგურეს. ოდესიდან ვარშავაში ჩაიყვანეს, მოხალისეთა ეროვნულ ბატალიონში ჩაწერეს და სამხრეთ საფრანგეთში, კასტრში გადაიყვანეს.

1944 წლის გაზაფხულზე მეორე ფრონტი გაიხსნა,

საფრანგეთი გათავისუფლდა. მოკავშირეებმა, იალტის კონფერენციის შეთანხმებისამებრ, ტყვეები საბჭოთა მხარეს გადასცეს. ისინი კი მათ ადგილზე ხვრეტდნენ ან ციმბირში ასახლებდნენ. ნიკო რეპატრაციას იმით გადაურჩა, რომ ცოტა ხნით ადრე ჩრდილო იტალიაში, ვენეციასთან, ქალაქ პორდენონეში გახსნილ ლაზარეთში გადავიდა სანიტრად. ლაზარეთში მომუშავე იტალიელებმა ის დამალეს, მერე პარტიზანებს მიეკედლა და გადარჩა. მოგვიანებით ლაზერეთი ინგლისელებმა დაიკავეს, ნიკომ მათთან დაიწყო მუშაობა, მაგრამ ინგლისელთა წასვლის შემდეგ დააკავეს და სამხრეთ იტალიაში კუნძულ ლიპარის გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკში გადაგზავნეს. საქმე ისაა, რომ 1948 წელს, საფრანგეთის დროებითი მთავრობის ხელისუფლებიდან შარლ დე გოლის წასვლისა



და სოციალისტთა მოსვლის შემდეგ, საბჭოთა კავშირმა ყოფილი ტყვეებისა და გერმანიის მხარეს მებრძოლი ემიგრანტების გაცემა მოითხოვა. მათაც, კოლაბორაციონიზმისა და ფაშისტებთან თანამშრომლობის ბრალდებით, ბევრი დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს. ქართველთა მდგომარეობა დამძიმდა, საკუთარი თავის გადარჩენის გარდა, ემიგრანტებს მათზე მინდობილი ყოფილ საბჭოთა ტყვეებზეც უნდა ეზრუნათ. 1950 წელს, გიორგი აფხაზის თავმჯდომარეობით, დაარსდა "ქართული პოლიტიკური კომიტეტი იტალიაში". ორგანიზაციის მიზანი იყო, დახმარებოდა ქართველთა ასოციაციას ბანაკებში მოთავსებული ტყვეების გათავისუფლებაში. მიუნხენის კოლონიის თავმჯდომარემ, ალექსანდრე კორძაიამ, შუამდგომლობა აღძრა და ტყვეთა გასათავისუფლებლად მემორანდუმით მიმართა იტალიის მთავრობის თავმჯდომარეს, ვატიკანს, ნითელ ჯვარს. 1951 წ. ტყვეები ფორმალურად



გაასამართლეს, გაათავისუფლეს და ნეაპოლთან, სატრანზიტო ბანაკ ბანიოლაში გადაიყვანეს, სადაც თვითონ გადანყვეტდნენ, თუ სად უნდოდათ წასვლა. ინგლისურენოვან ქვეყნებში გადანანილებასა და სამუშაოს შოვნაში ლტოლვილებს დახმარებას უწევდა "ტოლსტოის ფონდი", რომელსაც თეიმურაზ ბაგრატიონ-მუხრანელი ხელმძღვანელობდა. იგი იმავდროულად ქართული სათვისტომოს თავმჯდომარის მოადგილედ გახლდათ და, როგორც იურისტი, ქართველებს იურიდიულ საქმეებსაც უგვარებდა. 1951 წლის აგვისტოში ამერიკაში ჩასულ ნიკო თოფურიას ქართული სათვისტომოს თავმჯდომარელოდუმბაძედაელზაცომაიადახვდნენ. ის ერთი წლით ადრე ჩასულ ექიმ ჩხატარაშვილთან დააბინავეს. მუშაობა თავდაპირველად ნიუ-იორკის გარეუბან კოლექ-პოინტში, რუსეთის ყოფილი კაპიტნის, თევდორე გაბელიას ქალაქის ტიქების დიდ ქარხანაში დაიწყო. შემდგომში ნიუ-იორკის ვიცე-მერის, ქალაქის სატრანსპორტო გაერთიანების უფროსის კონსტანტინე სილამონ-ერისთავის ხელშეწყობით გზების რეკონსტრუქციის ინჟინრის დამხმარის თანამდებობა მიიღო. თანდათან ყველაფერში გაერკვა, რამდენიმე გამოცდაც ჩააბარა და მუდმივ შტატში ჩაირიცხა. რაკი გზების მომსახურე პერსონალი, ინჟინრები და კონტრაქტორები ძირითადად იტალიელები იყვნენ, ნიკომ კი იტალიური იცოდა მათთან თავს კარგად გრძნობდა, სიყვარულით მეტსახელად "ჯორჯიან ამბასადორი" შეარქვეს, რადგან სულ საქართველოს ქებაში იყო.

1956 წელს ნიუ-იორკში გაიცნო ცნობილი ემიგრანტის, ნოე რამიშვილის ნათესავის, ერთეოზ რამიშვილის ქალიშვილი - ელისაბედი. ისინი დაქორწინდნენ, 1957 წლის 27 იანვარს კი ქალიშვილი, ნინო შეეძინათ. დაოჯახებისას მათი ყველაზე დიდი პრობლემა უბინაობა იყო. დანაზოგითა და ქართველთა სათვისტომოს დახმარებით, პატარა, ეზოიანი, ორსართულიანი ძველი სახლი იყიდეს, რომლის წესრიგში მოყვანა დიდ ძალისხმევას მოითხოვდა. ნიკოს სახლის შესაკეთებლად სხვადასხვა ხელობის შესწავლა მოუხდა. მათი სარდაფი, შეკეთების შემდეგ, ემიგრანტი და "საბჭოთა" ქართველების შეკრების ადგილი გახდა. სახლის მოვლა-შენახვა ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ მეორე სართული გააქირავეს, სადაც მეუღლესა და ორ შვილთან სერგო გაბუნია ცხოვრობდა, პირველ სართულზე ერთი ოთახი ტყვეობაში მის მეგობარს ცნობილ ეროვნულ-დემოკრატს დიმიტრი (მიტო) სინჯიკაშვილს დაუთმეს. 1957 წელს პირველი ტალღის ემიგრანტის - ალექსანდრე ცომაიას გარდაცვალების შემდეგ, დიმიტრი მარტო უშვებდა ამერიკის კონტინენტზე პირველ სტამბურად ნაბეჭდ დიდი ფორმატის გაზეთს "ქართული აზრი" (1955-1974 წწ.). დღისით ქარხანაში მუშაობდა, საღამოს კი დაღლილი, ლინოტიპს უჯდა და თვითონვე აწყობდა მასალებს. გაზეთის



გარშემო ეროვნულ-დემოკრატიულ პლატფორმაზე მდგარი ქართველები იყვნენ გაერთიანებულნი. ნიკო პოლიტიკურ საქმიანობაში აქტიურად არ ჩართულა, მაგრამ 1959 წლიდან ქართველ ემიგრანტთა მცირერიცხოვან ჯგუფთან ერთად მონაწილეობდა პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ინიციატივით გამართულ "დამონებულ ერთა კვირეულებში" და მე-5 ავენიუზე მოწყობილ დემონსტრაციებში. ქართველთა კოორდინატორი ამ მიტინგებზე 1924 წლის აჯანყების მონაწილე გრიგოლ აბულაძე იყო.

1967 წ. ნიკო თოფურია ნიუ-იორკის ქართული სათვისტომოს მდივნად აირჩიეს და მიუხედავად ასაკისა, დღესაც ემსახურება ამ საქმეს.

ნიკოს ერთადერთ ქალიშვილს, ნინოს სამი ვაჟი შეეძინა - ნიკო, ბილი და დენი.

ნიკო თოფურიას სიმამრმა, ერთეოზ რამიშვილმა, 1960-იან წლებში დისტავის გამოგზავნილ წერილში ნიკოს ოჯახის სურათიც ჩადო. ასე გაიგეს თოფურიებმა, რომ ნიკო ცოცხალი ყოფილა. არადა, 1943 წელს ვილაცას მოუწერია ოჯახისთვის, ნიკო ჩემი ხელით დავმარხეო, რამაც ისე იმოქმედა ავადმყოფ დედამისზე, რომ ჭამა აიკრძალა და ახალგაზრდა გარდაიცვალა. აღარც პლატონ ბიძია იყო ცოცხალი. დიდი ხნის წინ გამოტყვევებული ნიკოს გამოჩენა წარმოუდგენელი სიხარული იყო ახლობლებისათვის. 1996 წელს 78 წლის ასაკში 55-წლიანი განშორების შემდეგ, ნიკო თოფურია ქალიშვილთან ერთად პირველად ეწვია სამშობლოს (2010 და 2012 წლებშიც ჩამოვიდა). თბილისში ბატონმა ნიკომ მოინახულა მშობლიური უნივერსიტეტის ეზო, ქიმიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები, თბილისის ნაცნობი და უცნობი ადგილები. განსაკუთრებით მტკივნეული იყო მშობლიურ სოფელში ჩასვლა.

1998 წელს გამოცემულ ნიკო თოფურიას წიგნში - "სადაურსა სად წაიყვან", ვრცლადაა გადმოცემული ავტორის თავგადასავალი, შესანიშნავადაა დახასიათებული პირველი და მეორე ტალღების ემიგრანტთა მთელი გალერეა, ამერიკის ქართული დიასპორის ცხოვრება. 1999 წელს წიგნი მეორედ გამოიცა სათაურით - "დაბრუნება 55 წლის შემდეგ".




# ვარდო ნარმანია

ვარდო რომანის ასული ნარმანია დაიბადა 1995 წელს 28 ნოემბერს, კიევში. 2000 წელს ხუთი წლისაც არ იყო, რომ სწავლა დაიწყო კიევის ოლქში, ვოლოდარკის რაიონის სოფელ რუბჩენკის ცხრანლიან სკოლაში. ერთი წლის შემდეგ ოჯახი დროებით მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად, რის გამოც ვარდომ სწავლა მოსკოვის №738 საშუალო სკოლაში განაგრძო. აქ დაჰყო ერთ წელი. შემდეგ კვლავ დაბრუნდა რუბჩენკოს საშუალო სკოლაში.

2004-2005 წლებში მან მოსკოვში დაამთავრა იგივე სკოლის მე-4 კლასი და 2005-2006 წწ. კვლავ ბრუნდება უკრაინაში. იქ ამთავრებს მე-6 კლასს. 2006 წ. მშობლებთან ერთად ჩამოდის ქ. თბილისში და სწავლას აგრძელებს №129 საჯარო სკოლაში.

2011 წელს სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან ვარდო გადადის ისევ ვოლოდარკის სკოლაში, სადაც ამთავრებს სრულ კურსს. ამავე წელს გოგონა ჩაირიცხა ქალაქ კიევის დრაგომანოვას სახელობის უნივერსიტეტის ფსიქოლოგია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ამაჟამად ვარდო ნარმანია ამავე უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტია.

ვარდო ნარმანია ფლობს ოთხ უცხო ენას. მიღებული აქვს არაერთი მადლობა, დიპლომი და ქეების სიგელი. ვარდო ჯერ კიდევ 9 წლის ასაკიდან გამოირჩეოდა პოეტური ნიჭით, წერდა როგორც რუსულ, ასევე ქართულ ენაზე. მკითხველს ვთავაზობთ მის შემოქმედებას.





# მაშ, უსიტევო სიევარულის სადღეგრძელო ითქვას!...

ჰომეა 15 წლის ასაკშია დაწერილი

დავდექი ღამე ფანჯარასთან, მკვდარ სიჩუმეს უური ვუვლე,  
 და უეცრად გამახსენდა მე ამავე სიევარულზე:  
 თერთმეტი წლის წინ მომხდარი სამი წლის წინ მონათული,  
 ეს ამავე ჩემთვის ვასდა საიევარულის დმერთის ტოლი.  
 ამ უსიტევო სიევარულს, მე მრავალი სიტევით აღვწერ,  
 ჯერ გულიდან ავერებ რითმებს, სტროფებს მსოფლიდ მერე დავწერ,  
 ტრფობის ეშით მკითხველს დავწავ, მოთხრობას ჰოემად ვაქცევ,  
 აღუწერულ გრძობის სითბოს, ეველგან უანგაროდ ვავცემ,  
 გოგონა ტრფობის გმირი, მსგავსი ნესტან\_დარეჯანის,  
 გულიდან\_სიკეთის, ხოლო თვალთაგან შუქის სხივოსანი,  
 მუდამ ერთი სიევარულის არის ერთგული, ჰატოხსანი,  
 სული სუფთა, ხოლო სელი\_მხატვრის, მსგავსი დიდოსტატის.  
 მოხდა ასე: ფანჯარასთან დგას და მთვარის შუქის თოვას უცქერს  
 გრძობას, რომ მკერდში მისი გული დელავს, შფოთავს მღიერ უძგერს,  
 ის სვალინდელი დღეზე ფიქრობს და გულისთქმას ჩუმიდ უსმენს,  
 სულს სხეულში ვერ აჩერებს, სული ამდენს ვეღარ უძლებს.  
 არ იცოდა, თუ სვალ მას ერთადერთი იქ ელოდა,  
 მისი ვანება დაქროდა, ის სიევარულზე არ ფიქრობდა,  
 რამდენ რამეზე დარდობდა, მაგრამ ამას მოელოდა?  
 შემთხვევით ან ვანებებ, მაგრამ ის სიევარულს შესვდომოდა,  
 მაგ სიევარულს რა ვუთხარი, ჩუმიდ ეოფნა არ ისურვა  
 ღვინით ეანწი აავსო და სადღეგრძელო მოისურვა.  
 „უკუძღვნი იმას...“\_მაგრამ დამთავრება ვინ აცადა,  
 „ჩუ მმობილო, მამას სვალავ?“\_მას მამაკაცმა გადმოსძახა.  
 მაგრამ გრძობას დააკაუებ?... წინ ვავიდა... დავხოქა...  
 ღვინით სავსე ეანწით სელში, მან გამჩენი დავლოცა,  
 გოგონებულ მამაკაცებს კი თვალნი შუბლზე ასტომოდათ,  
 გოგონას კი სავსე გული, მორცხე სიწითლად გამკლავნოდა,  
 დიდხანს ისვა სავსე ეანწი, მაგრამ ბოლოს დაილია,  
 გოგონას, ვანება ამ დროს სრულად აურიო,  
 მამაკაცების ხმა ვაისმა: “სასწაული მოხდენია!”  
 თურმე გოგონას მამა, ამას სავართოდ არ შესწრებია!“  
 მაგრამ ეს არ აღეკუებდა, უკვე კარგად დამთვრალ გრძობას,  
 ისე როგორც ღვინის ეანწი, დამთვრდა ის ნებვირობაც.  
 ხალხი მალე დაიმადა, ხალხში წავიდა გოგონაც,  
 მაგრამ სული მისი მაინც არ დამორდა იმ მთვრალ გრძობას,

არც გრძობა დამორებია, მისი სელიც მოისურვა,  
 მაგრამ, როგორც ბიუს შეჭფერვის, ის ჯერ მმობლებს ესაუბრა.  
 უარი მიიღო, მაგრამ ის ხომ ამას არ ელოდა  
 ვადაწვევითა დამუქება, თქვა, რომ მღვდლად იკურთხებოდა.  
 მაგრამ ვერც ამან ვერ ვაჭრა, ეს საეითის იქ დასრულდა,  
 გრძობამ კი, ნათქვამი სიტევა, ჰირობისებრ აანსრულა.  
 იმ დღის შემდეგ გოგონას და გრძობის გზები ვაიყარა,  
 წუთისოფლის შავმა ბედმა თითქოს მიწა დააყარა,  
 გოგონამ კი სიევარული გულის კუნჭულს შეაფარა,  
 ასე ჩუმიდ შენახული, ექვსი წელი დაატარა.  
 ბევრი ღექსი დაიწერა, ნახატებიც დიხატა,  
 ამ ლოდინში ვაკუნთილი, ბევრი ცრემლიც დაიღვრა,  
 მწარე ტანჯვის შემუერვალე, ბედისწერას შეებრალა,  
 და საჩუქრის ხანით, მან მათ ერთი შანსით დაქმარა.  
 ჰანაშვიდზე მეოფ გოგონას, წინ მდგარ კანის ზურგი ეცნო,  
 უწინ დანოქილი გრძობა, ერთი ხანვით გამოეცნო.  
 არ იცოდა რა ექნა და თქვა ლოცვით: - დმერთო,  
 ვთხოვ წვალბობით ვადმომსედე, ეჰ, მფარველო ერთადერთო.  
 გრძობის გულმაც იგრძნო რაღაც, მწერა უკან გამოსტეორცნა ...  
 ხანის ფერი შეეცვალა, აღფრთოვანდა და ვაოცდა.  
 მათ ერთმანეთთვის სათქმელი იმ წამს სიტევეები არ ჰქონოდა  
 ამ დროს კი, ორივეს სული სინარულით ცას სწვდომოდა...  
 მაგრამ ტეუილად ვისარიათ, არ სრულდება ღექსი აქვე,  
 კვლავ უსიტევოდ ჩაიარა იმ ჭრელ დღემაც, როგორც ადრე,  
 ვაიყარა გზები ისევე, კვლავ დაიძნებრა ბედის სარკე,  
 თავის სელით ვაფუქა სიევარულმა მათი საქმე.  
 მის აქეთ წლები ვაფრინდა, ერთმანეთი არ უნახავთ.  
 მაგრამ თბილი სიტევეები მათ კვლავ გულებში დავმარსავთ.  
 არ ინდომეს საუბარი და არც სიევარულის ასსნა  
 მათ სიჩუმე ურჩევნიათ სმამადად გულის ვადანსხას...  
 ღვინით სავსე ეანწით სელში, დღეს მე სუფრის თავში ვვივარ,  
 თვალზე ცრემლი წამომადგა, ეველა ფიქრობს რად ვტირივარ,  
 ახლა ფუნზე წამოვდგები, მე სიტევის თქმას ეველა მაცლის,  
 ვიტევი და ამ ვავსებულ ეანწს მე შეუწერებლად დავცლი,  
 მაშ! უსიტევო სიევარულის სადღეგრძელო უნდა ითქვას,  
 მაგრამ დღეს! ეს ეანწი! ეველას მიერ უნდა ისვას.



## მომავალი

### შენ, ქართველო, ვის ადიდებ!..

ლექსის შინაარსი ეხება რწმენა დაკარგულ ქართველების ნაწილს, ავტორის მიზანია მათი გამოფხიზლება და ქართული ადათ-წესების შეხსენება.

ქერა თმა და თვალ-ცისფერა საღვსავსა ქედი მოუსრია,  
შენს ეშხიან ერს კი ამ დროს მზერა ქვაზე მიუსვლია,  
ქრისტეს ჯვართით, გულზე რომ გაქვს, უცხო სისხლს უამაჟია,  
შენ ქართველო? შენ სადა ხარ? შეგნება სად წავიღია?  
წიგნებს წერენ, გადიდებენ, უცხო ციმ ქვეშ გადმერთებენ,  
ქართველები კი ამაჟ დროს ეკლესიას ზურგს აქცევენ!  
წმინდა ნინოს თმებს ინახავ. სად ინახავ ის თუ იცი?  
აღარ დაგრჩა სიწმინდეზე შენ ნამუსი დასაფიცი!  
ფსაძლუნს ხელზე რომ ატარებ, რად და რისთვის, გაგიგია?  
შენ რაც მავ უფაღმა მოგცა - სამკაულად გიქცევა!  
შენ - ქართველო! სად ხარ? რა ხარ? სინათლე თვალთ მოგკლებია.  
კაცს - კაცობა, ზნე და ჟინი, ქალს კი ჩადრი დაკარგვია!  
სადღერძელოდ რომ სვამ ღვინოს, „ეს უფალსო“ - რომ ადიდებ,  
შენ მავ ეანწით ვის ატეუებ?.. შენ, ქართველო, ვის ადიდებ?..

**ვარდო ნარმანია**

\* \*\*

პატარა ვარდოს ნიჭიერებით აღფრთოვანებულმა აფხაზეთისა და საქართველოს დამსახურებულმა მასწავლებელმა ლიდა გოგიაშვილმა 4 წლის ვარდოს შემდეგი სტროფები მიუძღვნა:

### ვარდოს

**გუძლი ჩემს  
პატარა მეგობარს!**

მინდა ვუვლას ჯავაცხო  
შავთვალწარბა პატარა ვარდო  
მშობლები მისი ბედნიერია  
რომ ღმერთმა ასეთი შვილი არგო.  
ჯერ ხუთი წლისა არ არის,  
უკვე იცის კითხვა-წერაც,  
მეგრულ-ქართულ, რუსული  
და ინგლისური ენაც,  
ძლიერია ანგარიშშიც  
უკვე იცის თვლა ასამდე  
შეკრება და გამოკლებაც  
თავის თავად ორმოცამდე.  
გონებამახვილი გოგონას  
სწავლა დაუსაწყელი,  
ნეტავ ასეთი ბავშვები  
ბევრი იყოს ქართველი.



მამ, გისურვებ ჩემო ვარდო  
გაიზარდე სასახელო,  
შენი კარგი სწავლითა  
ასახელო საქართველო!

**შენი პირველი მასწავლებელი  
ლიდა გოგიაშვილი  
მოსკოვი 2000 წლის 16 ივლისი**



# პარღო ნარმანიას ნარმაზეული გავგოგა



**БЛАГОДАРНОСТЬ**

*Дорогой Вардо Нармани !*

Совет ветеранов Северо-Западного административного округа, депутат Московской городской Думы Валерий Скобинов и Благотворительный фонд "Кольцо милосердия" благодарят тебя за участие в Фестивале детского рисунка **"Мир без войны!"**,

который проводился в преддверии празднования нашей страны великой даты - 60-летия Победы в Великой Отечественной войне. Спасибо за творческую активность, за интерес кечно волнующей теме мира, за искренность и проявленную фантазию.

Желаем тебе крепкого здоровья, счастья и больших творческих успехов. Мы надеемся, что проведение подобных фестивалей рисунка станет доброй традицией, и у тебя не раз еще будет возможность принять в них участие.

*Удачи и успехов тебе!*

Председатель окружного Совета ветеранов / Председатель Московской городской Думы  
В. П. Трофимов / В. П. Скобинов

Председатель попечительского Совета благотворительного фонда "Кольцо милосердия"  
В. П. Скобинов

საპარტამენტო კრეატიული კულტურული-საბუნებისმეტყველო მუშაობების ფორმებითა კავშირი

GEORGIAN TRADE UNION CULTURAL-EDUCATIONAL INSTITUTIONS  
CREATIVE WORKERS UNION

**დიპლომი  
DIPLOMA**

გალოგებდა ნარმანია ვარდა  
მუშაობა კრეატიული ხელოვნებითა, პარღო გავგოგა წევრი

ლორეანის დიპლომატ ტრადიციული ხალხური ცეცხის საუკეთესო საშემსრულებლო ოსტატობისათვის  
გავგოგა და მოზარდთა კრეატიული ხალხური ცეცხის  
III - რანგის მფლობელი ფესტივალის -  
"ქარის შარი"

საბუნებისმეტყველო კრეატიული მუშაობის  
ფორმებითა კავშირი  
თავმჯდომარე სანდრა ჩოგვა

გამომცემი  
მ. ბაბიაძე

**დიპლომი**

ნ ა რ მ ა ნ ი ა ს

თბილისის მისწავლა ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე

**ქართული**

თბილისის 129-ე საზაფხულო სკოლის X კლასის მოსწავლეთა  
პარღო ნარმანიას

მოსწავლეთა 65-ე საზაფხულო-შემოქმედებითი კონკურსის  
შეხორცის (რუსულის) სპეციალური მოკრძევალი  
გამარჯვებულებით

სასახლის დირექტორი  
გ. შალამბერიძე  
2011 წ.

**ПОЧЕТНАЯ  
ГРАМОТА**

НАГРАЖДАЕТСЯ

*Нармания Вардо*  
ученица 4 «Б» класса  
за активное участие  
в жизни класса

Директор ГОУ СОШ № 738  
Классный руководитель  
Ежова О.В.  
Михеева Е.П.

Москва, май 2005 г.



# „ეგრისობა“

## 26 წლის შემდეგ



„ეგრისობა ტრადიციული დღესასწაული იქნება“, ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ნოქალაქევეში ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა.

26 წლის შემდეგ პირველად სამეგრელოში სახალხო დღესასწაული „ეგრისობა“ გაიმართა. დღესასწაულს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი პირადად დაესწრო. სიტყვით გამოსვლისას პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ეგრისობის დღესასწაული მხოლოდ ერთი კუთხის ზეიმი, მდიდარი კულტურის და ტრადიციების წარმოჩენის სურვილი არაა, არამედ ის ქართველი ხალხის ისტორიულ მეხსიერებაში დალექილი ერთად ყოფნის სურვილია.

„ჩვენი მიზანი საქართველოს გამთლიანება, გაძლიერება, ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობაა. ჩვენ ერთად უნდა ავაშენოთ ძლიერი, ევროპული ტიპის სახელმწიფო. ჩვენი ხალხი იმსახურებს, რომ ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს საერთო ევროპულ ოჯახში. ჩვენი მთავრობა ყველაფერს აკეთებს, რომ თითოეულ

მოქალაქეს შეუქმნას ღირსეული ცხოვრებისა და განვითარების პირობები. მართალია, თითოეულ ჩვენგანს ერქარება შედეგი, მაგრამ ყველა პროცესს დრო სჭირდება“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა სამეგრელოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტების კუთხეები დაათვალიერა. ზუგდიდის კუთხესთან მეგრული სამზარეულოც დააგემოვნა, სადაც მას მასპინძლობა ქალაქ ზუგდიდის მერმა, **ირაკლი გოგოხიამ**, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელმა **ედიშერ თოლორაიამ** და ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარემ **ლამა გოგია** გაუწია.

ციხექალაქის ეზოში სამეგრელოს ყველა კუთხის წარმომადგენლებს საკუთარი პავილიონები ჰქონდათ წარმოდგენილი. რეგიონისთვის დამახასიათებელი ტრადიციების, სამზარეულოსა და სახალხო რენვის ნიმუშების გამოფენა-ჩვენება მოეწყო.

სახალხო ზეიმს ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან ერთად ესწრებოდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი **ლევან შონია**, მთავრობის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად, რეგიონის გამგებლები და მონვეული სტუმრები.

ამავე დღეს აბაშის მინიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ **პაატა ქურდოვანიძეს** ღვთისმშობლის შობის სახელობის თეკლათის დედათა მონასტრის ისტორიის მატეანის შექმნისა და უნიკალური ფოტო-მასალების მოძიებაში განეული წვლილისათვის **სენაკის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა**.



სახალხო  
ღღასასაუდი,  
როგელიც  
საქართველოს  
ქლიერების,  
ერთიანობის  
სიგოლოდ იქცა.





## გიორგი ნისენჯულიძე

**ნოველები დაწერილია მწერალ გიორგი ნისენჯულიძის მიერ მსოფლიო მნიშვნელობის ქართული ბარიტონის — ლადო ათანაილის ცხოვრებისეულ ეპიზოდებზე დაყრდნობით. ნიბნი გამომიცა ქართულ და ინგლისურ ენებზე.**

# გოგონებები ნოველებზე თოვლის ფანტაზია

1993 წლის 27 ნოემბერია, თოვლის ფიფქებით გადაპენტილ ქალაქში თერთმეტსართულიანი სახლის ფანჯრიდან თეთრ სამოსში გამოწყობილი უნაზესი ფერია მოსჩანს. ისე უხვად ბარდნის, კაცი ვერ გაარკვევს, რომელია თოვლის ფიფქი და რომელი მშვენიერი ფერია. იგი აივანის კარს აღებს, გარეთ გამოდის და თოვლის ფანტელს ხელის გულს ახვედრებს. რამდენიმე ფიფქი „შირაზის ვარდის“ მშვენიერ ბაგეს ადნება, დღეს ხომ მისი და ახალგაზრდა ოპერის სოლისტის ლადო ათანელიშვილის ჯვრისწერის დღეა, რომელსაც პედაგოგი და სულიერი მამა, დიდი მანქანით ნოდარ ანდლულაძე უხდის.

ზარი აწკრილდა. გაღებულ კარში სასიძო და ქაშუეთის ეკლესიის მგალობლები გამოჩნდნენ. ლადოს ხელში ყვითელგულა თეთრი გვრილების თაიგული უჭირავს, რომელსაც თავის ნანატრ მანანას გულში ჩაახუტებს. ისმის შეძახილები და ტაშის გრიალი. დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს, მანანას სილამაზით დათრგუნული, ულამაზესი ყვითელგულა თეთრი გვრილები

მის ნატიფ, მარმარილოსავით ნათალ თითებში უდროოდ როგორ ბერდებიან.

უცებ პატარძლის თვალწინ ის წლები გაიფრქვება, საქართველოში სიცივე, შიმშილი, უშუქობა და ადამიანების დამცირება ჩვეულებრივ მოვლენად რომ იქცა. გაახსენდება დიდი მაესტროს, ნოდარ ანდლულაძის მიერ მისი უნიჭიერესი მოწაფის, ლადო ათანელიშვილისადმი წლების მანძილზე გაღებული მადლი და სიკეთე; გაყინულ და ჩაბნელებულ ოთახში, სანთლების შუქზე, ნაბადში გახვეული მაესტრო როგორ ამეცადინებდა გათოშილ იადონს, ბებიის მოქსოვილი, თითებნაჭრილი ხელთათმანებით როგორ უჯდა მანანა როიალს და აკომპანიმენტს უკეთებდა ლადოს.

ერთხელ მანანამ ჩემთან საუბარში აღნიშნა: — ისე წავალთ ამ ქვეყნიდან, ღმერთი რომლისაც ასე გვწამს და რომელზეც ვლოცულობთ, არასდროს გამოგვეცხადება, მაგრამ მე, მანანა ჩიქოვანი, ბედნიერი ვარ იმით, რომ უფლის ძალამ მაესტრო ნოდარ ანდლულაძის სახით ღმერთკაცს შემახვედრაო.

## მანაბას ჯვარი

მანაბა კავკასიაში ერთადერთი დაღესტნელი ქალია, რომელიც თბილისში ცხოვრობს და ლითონჭედურობაზე მუშაობს. ისე მოხდა, რომ თბილისში გამართულ სოლო კონცერტზე ქალბატონი მანაბა სცენაზე ამოვიდა, მე და ჩემს მეუღლეს, უზარმაზარი სიამოვნების მინიჭებისთვის გულწრფელი მადლობა გადაგვიხადა, თანაც შეგვპირდა, რომ ამ დღის აღსანიშნავად, ვერცხლის ჯვარს გაგვიკეთებდა. ერთი კვირის შემდეგ ქალბატონმა მანაბამ ცოლქმარს თავისი ნამუშევარი, ქალაქში სათუთად შეხვეული ჯვარი, ხელოვნების მშვენიერი ნიმუში, გადმოგვცა და თან გვინინასწარმეტყველა: — ეს

ჯვარი ორივეს დიდ წარმატებას მოგიტანთო.

ასე აგიხდეთ ყოველი სიკეთე, როგორც ამ დიდებული ქალბატონის სიტყვები ახდა. აგერ, უკვე ოცი წელია, ჯვარი არ მომიცილებია, სადაც წავალ, ყველგან თან დამაქვს, როგორც ჩემი სულის განუყოფელი ნაწილი. ეს საჩუქარი იმითაც არის ჩემთვის ძვირფასი, რომ უკანა მხარეს ქალბატონმა მანაბამ „მ“ და „ჩ“ ასოები ამოტიფრა, მანანა ჩიქოვანის გვარ-სახელის პირველი ასოები.

ასოები ერთმანეთში ისეა ჩახვეული, რომ მათ ამ შემთხვევაში სამყაროდან სულიერების, სიყვარულისა და ნეტარების საუფლოში დაავანებს.

სამჯერ მარმარილოს ქალი



1991 წელს, ესპანეთში, ფრანცისკო ვინიასის სახელობის კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს კულტურის სამინისტრომ რამდენიმე ოპერის სოლისტი დააფინანსა. მეც გულით მინდოდა ესპანეთში წასვლა, მაგრამ რატომღაც სამინისტროში ჩემთვის ფინანსები არ აღმოჩნდა. გადავწყვიტე ისეთი სპონსორი მომეძებნა, რომელიც ჩემს სურვილს გულთან ახლოს მიიტანდა და კონკურსზე გამგზავრების საშუალებას მომცემდა. და აი, გამოჩნდა პატრიოტი კაცი, გურამ ქაშაყაშვილი, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო ეს კეთილშობილი მისია.

რა დამავინწყებს ამ მოგზაურობით გამონვეულ სიხარულს. კონკურსი ბარსელონაში ჩატარდა, სადაც პირველ ტურში ვერდის ცნობილი ოპერიდან, „ბალ-მასკარადი“ რენატოს არია შევასრულე, სიმღერის დაწყებისთანავე შევამჩნიე, ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა როგორ გადახედა გვერდით მჯდომ კოლეგას და თავი ისე გააქნია, მივხვდი, დღევანდელი გამოსვლა გამარჯვების შარავანდედით გასხვიოსნდება. ბოლო ნოტის გაგრძელებისას, რაც მომღერლისთვის ერთობ ძვირია, ჟიურის სწორედ ის წევრი ხელით მანიშნებდა: – არ შეჩერდე, გააგრძელე ვიდრე სუნთქვა გეყოფაო. მეც ნოტი იმდენ ხანს შევაჩერე, ვიდრე ერთიანად არ გავლურჯდი. ბაზედოვის ავადმყოფივით თვალები ლამის ბუდიდან ამომიცივიდა. სიმღერა მაშინლა შევწყვიტე, ყურში შეძახილები რომ ჩამესმა: – ბრავო, ბრავო!

შინაგანად მივხვდი, ეს გამარჯვების ნიშანი იყო. დასასრულს, უკვე ნათელი გახდა, რომ ბრავოს თვით სიმღერის მსოფლიო მეტრი, ჟიურის თავმჯდომარე, ბარიტონების მეფე ჯუზეპე ტადეი და ჟიურის წევრი იტალიელი პრიმადონა მაგდა ოლივიერო გაჰკიოდნენ. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა გრანპრი და პირველი პრემია მომანიჭეს. დაჯილდოების დროს, უეცრად თვალთან იმ ანგელოზის სახემ გაიელვა, მთელი ახალგაზრდობის წლები სიზმარში რომ ვხედავდი. იადონის ხმაზე გალობდა, მილიმოდა და გამომეყვიო, უჩუმრად მანიშებდა. ანგელოზი თვალთაგან მხოლოდ მაშინ გაქრა, როცა პრემია



უკვე ხელთ მეპყრა. ჩემი მეუღლე, მანანა ჩიქოვანი რომ გავიცანი, მივხვდი, ანგელოზს, რომელიც სიზმარში ასე ხშირად მეცხადებოდა, სწორედ მანანას სახე ჰქონდა.

მას შემდეგ 17 წელი გავიდა. ჯუზეპე ტადეის ვენის საოპერო თეატრში 80 წლის იუბილეს უხდიდნენ. ამ ასაკში მან კიდევ ერთხელ შეძლო თავის ბრწყინვალე ხმით მსმენელის დატყვევება. როცა მე და ჩემი მეუღლე, მომღერალთან კულისებში მისალოცად შევედით, თვალებგაბრწყინებულმა, ყველას გასაგონად შესძახა: – ბატონებო! აი, ის ბრწყინვალე ბარიტონი, გრანპრი და პირველი პრემია რომ გადავეცი. მერე ჩაიღიმა და დასძინა: – გრანპრის თანახლდა მარმარილოს შიშველი ქალის შესანიშნავი ქანდაკება. მე რომ ქალბატონი მანანა კონკურსამდე ნანახი მყოლოდა, პატიოსნად გეუბნებით, გრანპრის შიშველი ქალის გარეშე გადავცემდი, რადგან მარმა-

რილოში განსხეულებული მშვენიერება მისთვის თურმე ღმერთს უკვე უბოძებია.

ყველას გახსოვთ 90-იანი წლების საქართველო, ომი, დაპირისპირება, განუკითხაობა. სწორედ იმ ხანად თბილისში ჩემი სახლი გაქურდეს, ოქროს მედალი წაიღეს და მარმარილოს შიშველი ქალიც თან გააყოლეს. ძალიან განვიცადა ეს ამბავი და ბარსელონაში გასტროლის დროს, ჩემი სევდიანი ისტორია საოპერო თეატრის დირექტორს ვუამბე. სხვათაშორის, ბარსელონაში, კატალონიის მოედანზე ზუსტად იმდაგვარი მარმარილოს ქანდაკება დგას.

საოპერო ხელოვნების ისტორიაში მართლაც საოცარი რამ მოხდა. ბარსელონას საოპერო თეატრის დირექტორის ინიციატივითა და კონკურსის მესვეურთა გადაწყვეტილებით, ერთი და იგივე პრემია, ერთი და იგივე მომღერალს მეორედ გადასცეს. მარმარილოს შიშველი ქალის ქანდაკება კვლავ ჩემი საკუთრება გახდა. ბარსელონაში, ვერდის „ოტელოში“ იაგოს პარტია რომ შევასრულე, პრესაში დაინერა: ბედნიერია ის ოტელო, რომელსაც ასეთი იაგო ჰყავსო.

მე, ჩემის მხრივ, დავამატებდი: ბედნიერია ის ლადო, რომელსაც ასეთი მანანა ჰყავს.

# ბაგრატი III

## ერთიანი საქართველოს პირველი მეფე



ბაგრატი III ბაგრატიონი, ერთიანი საქართველოს მეფე, შუასაუკუნოვანი საქართველოს ერთ-ერთი განთქმული პოლიტიკური მოღვაწე, გურგენ მეფეთ-მეფისა და გურანდუხტ დედოფლის შვილი, ტაოს მეფის დავით III კურაპალატის შვილობილი და აღზრდილი, ერთიანი ფეოდალური ქართული სახელმწიფოს პირველი მეფე გახდა.

ბაგრატი III-ს განსაკუთრებით მძიმე საგარეო და საშინაო პირობებში მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა. ბაგრატიონის დასრულდა ხანგრძლივი ბრძოლა ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს შექმნისათვის.

როგორც ცნობილია, ფეოდალური საქართველოს გაერთიანებისა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესი იყო, რომელიც VIII საუკუნის ბოლოს დაიწყო. პირველობისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა პოლიტიკურად დასტრატეგიულად, ასევე გეოგრაფიული მდებარეობით საყურადღებო რეგიონს, შიდა ქართლს, რომელსაც X საუკუნის დასაწყისიდან „აფხაზთა“ მეფეები ფლობდნენ.

X საუკუნის 70-იან წლებიდან გახშირდა შინაფეოდალური ბრძოლები, რომლებმაც უფრო მეტად დაასუსტეს ქვეყანა. დაძაბულობამ განსაკუთრებით მძიმე ხასიათი მიიღო თეოდოს III უსინათლოს მეფობის პერიოდში (975-978 წწ.). ამით ისარგებლეს კახეთის პოლიტიკურმა ძალებმა,

რომლებმაც ბრძოლა დაიწყეს ქართლისათვის. სწორედ ამ დროს საქართველოს გაერთიანებით დაინტერესებულმა მოღვაწეებმა, რომელთა მოთავე იყო ქართლის ერისთავი იოანე მარუშისძე, ყურადღება შეაჩერეს მცირეწლოვან ბაგრატი გურგენის ძის პიროვნებაზე, რადგან იგი მიიჩნეეს გაერთიანებული ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ხელმძღვანელის ყველაზე უფრო შესაფერის კანდიდატად; ბაგრატი სამი სამეფოს პირდაპირ მემკვიდრედ ითვლებოდა. იგი იყო „ქართველთა მეფის“ ტიტულის მქონე ბაგრატი ბაგრატიონის შვილიშვილი და მეფეთა-მეფის გურგენის შვილი, ეგრის-აფხაზეთის უშვილო მეფის თეოდოსის დისწული და დავით III კურაპალატის შვილობილი და გაზრდილი.

975 წელს იოანე მარუშისძემ დავით III კურაპალატს შესთავაზა ან თვითონ შემოეერთებინა ქართლი, ან თავისი შვილობილი ბაგრატი გურგენის ძე დაესვა მის გამგებლად. დავით III კურაპალატმა ბაგრატი კანდიდატურას დაუჭირა მხარი და ქართლისაკენ გამოემართა, რომელიც კახელებმა ჩუმად მიატოვეს. დავით ტაოელმა ქართველთა მეფე გურგენი და მისი ძე ბაგრატი უფლისციხეში დატოვა, მაგრამ ბაგრატი არასრულწლოვანობის გამო მას თანაგამგებლად მამამისი გურგენი დაუნიშნა.

„მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობით, დავით კურაპალატმა ქართლის აზნაურები გააფრთხილა:

# 1000



„ბაკრატი არის მკვიდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე. ამას დაემორჩილენით ყოველნი“.

დავით კურაპალატმა ბაკრატი ქართლისა და აფხაზეთის ტახტის მემკვიდრედ აღიარა. დავითის ტაოში გაბრუნებისთანავე, კახელები კვლავ შემოვიდნენ ქართლში, დაიპყრეს უფლისციხე, შეიპყრეს ბაკრატი, მამამისი გურგენი დადგა გურანდუხტი. მომხდარი ამბავი იოანე მარუშისძემ დავით კურაპალატს აცნობა, რომელიც დაუყოვნებლივ გამოემართა. კახელებმა დავითს მოციქული გაუგზავნეს, ტყვეები გაათავისუფლეს და უფლისციხეში დატოვეს. კახელები იძულებული შეიქნენ ქართლის ყველა დაპყრობილი ტერიტორია დაებრუნებინათ და წირქუალის ციხისა და გრუას გარდა.

უსინათლო თეოდოსის მეფობის პერიოდში ძალიან აირია მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში. იოანე მარუშისძემ გადაწყვიტა ბაკრატის გამეფება აფხაზეთის ტახტზე და მან კვლავ რჩევისათვის დავით კურაპალატს მიმართა, რომელიც თავს იკავებდა, რადგანაც თეოდოსის სიცოცხლეში ბაკრატის გამეფების წინააღმდეგი იყო. იოანე მარუშისძე კი ჩქარობდა ბაკრატის გამეფებას დასავლეთ საქართველოში, მითუმეტეს, რომ ამ დროისათვის იგი უკვე სრულასაკოვანი იყო. საბოლოოდ 978 წ.

დასავლეთ საქართველოს დიდ აზნაურთა ნაწილის თხოვნით, იოანე მარუშისძის მოწადინებითა და დავით დიდი ტაოელის თანხმობით ბაკრატი ქუთაისის სამეფო ტახტს დაეუფლა. უსინათლო თეოდოსი კი დავით კურაპალატთან გააგზავნეს.

980 წლიდან ბაკრატი III დამოუკიდებლად შეუდგა ქართული ფეოდალური სამეფოს მართვას. იმავე წელს ბაკრატი დასავლეთ საქართველოდან ქართლში გადმოვიდა, რადგანაც აქ გურანდუხტ დედოფლის ხელისუფლება მხოლოდ ნომინალური იყო, სინამდვილეში კი ქართლს დიდი აზნაურები: ტბელები, ძამელები, ფავნელები, ფხვნელები, კორინთელები განაგებდნენ.


80-იანი წლების დასაწყისში ბაკრატი III-მ მოლრისთან ბრძოლაში დაამარცხა ქვეთარ ტბელი, რომელიც შიდა ქართლის ერისთავობაზე აცხადებდა პრეტენზიას. მან დედისაგან ჩაიბარა უფლისციხე და ისევ დასავლეთ საქართველოში გადავიდა. ამიერიდან ბაკრატი III მტკიცედ დაიმკვიდრა თავისი ძალაუფლება დასავლეთ საქართველოსა და შიდა ქართლზე.

989 წელს ბაკრატი III კლდეკარის საერისთავოს (თრიალეთი, მანგლისის ხევი, სკვირეთი) გამგებელი რატი რატის ძებაღვაში დაიმორჩილა და მისი სამფლობელო თავის ერთგულ მოხელე-ერისთავს, ზვიად მარუშთან გადასცა.

1001 წელს, როდესაც დავით კურაპალატი გარდაიცვალა, ტაოს ბიზანტიის იმპერატორი ბასილი კეისარი (976-1025 წწ.) დაეპატრონა და იქ მისულ ბაკრატი III-სა და გურგენ მეფეს მემკვიდრეობის მიღების ნაცვლად ბიზანტიის გამგებელმატიტულები დაურიგა — ბაკრატს კურაპალატობა, გურგენს კი მაგისტროსობა უბოძა. ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლებამ წართმეულ მიწა-წყალზე “იბერიის თემი” დააარსა და მმართველად თავისი მოხელე დანიშნა.



**ბაკრატი III გარდაიცვალა ტაოში, ვანასკერტის ციხე-სიმაგრეში 1014 წელს, დაკრძალულია ბაღიაში.**



**პრისტოფორო დე კასტალის თვალით დანახული ბედიის ტაძარი**

1008 წელს გურგენ მეფეთა-მეფის გარდაცვალების შემდეგ, ბაგრატს, როგორც მემკვიდრეს, გადაეცა ტაოს ჩრდილოეთი ნაწილი (ამიერ ტაო), კლარჯეთი, შავშეთი, სამცხე, ჯავახეთი. ამ დროიდან, ბაგრატ III “აფხაზთა და ქართველთა” მეფედ იწოდებოდა. ბაგრატმა კახეთის ქორეპისკოპოსს დავითს ქართლის მიტაცებული ციხეების მშვიდობიანად დათმობა მოსთხოვა, მაგრამ კახეთის გამგებელმა მას დაცინვით უარი შემოუთვალა. ბაგრატმა უკან არ დაიხია, მოკლევადიანად ჯავახეთიდან კახეთში ჩავიდა, ბრძოლით შემოიერთა იგი, დაეუფლა ჰერეთს და იქ მთავარი აბულაღი დანიშნა. ბაგრატის წასვლისთანავე ჰერეთი გადაუდგა ახალ გამგებელს და მიემხრო დავით ქორეპისკოპოსს. საბოლოოდ, 1010 წელს ბაგრატ III შემოიერთა კახეთ-ჰერეთი.

თავისი მეფობის ბოლო წლებში ბაგრატ III-მ სომეხთა მეფე გამიკ I-თან ერთად გაილაშქრა რანის მფლობელ ფადლონის წინააღმდეგ, რომელიც ხშირად თავს ესხმოდა კახეთ-ჰერეთს. ბაგრატმა იგი აიძულა ყოველწლიურად გადაეხადა ხარკი და მონაწილეობა მიეღო საქართველოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში.

ქვეყნის მთლიანობისა და სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბაგრატ III ზოგჯერ იძულებული იყო უკიდურესი ზომებისათვისაც მიემართა. მან თავისი ნათესავები, ბაგრატ არტანუჯელის ძენი, სუმბატი და გურგენი, კლარჯეთის ბაგრატიონთა შთამომავალნი ურჩობისათვის მკაცრად დასაჯა: ვითომ შერიგების მიზნით სადარბაზოდ ფანასკერტში მიიწვია, შეიპყრო და გამოკეტა თმოგვის ციხეში, სადაც ისინი გარდაიცვალნენ.

კლარჯეთის ბაგრატიონთა სხვა მემკვიდრეთაგან ბაგრატმა ნაწილი პატიმრობაში ამოხოცა, ნაწილი ბიზანტიაში გახიზნა. წინანდელი მემკვიდრეობითი მფლობელები ყველგან მეფის მოხელე ერისთავებით შესცვალა.

ერთიანი ფეოდალური საქართველოს დედაქალაქი ქუთაისი იყო. ასე ჩაუყარა ბაგრატ III საფუძველი საქართველოს ფეოდალურ მონარქიას. მის დროს აიგო ქართული არქიტექტურის დიდებული ძეგლები: ბედიის მონასტერი, ბაგრატის ტაძარი ქუთაისში, ნიკორწმინდა და სხვა.

ბაგრატ III გარდაიცვალა ტაოში, ფანასკერტის ციხე-სიმაგრეში 1014 წელს, დაკრძალულია ბედიაში.

**ბედიის ჭედური თასის ან ბედიის ოქროს ბარძიმი**

ქართული ოქრომჭედლობის ძეგლი, ოქროს ბარძიმი. მასიური მრგვალი ფორმის ბაჯალლო ოქროს თავი (სიმაღლე 12,5 სმ, დიამეტრი 14 სმ, ფეხი არ შემორჩა) შესრულებული X—XI საუკუნეების მიჯნაზე. ბედიის ჭედური თასის გარე ზედაპირი 12 არედაა დაყოფილი, თითოეული თალის ქვეშ თითო ფიგურაა გამოსახული: ერთ მხარეს — ტახტზე მჯდომი ქრისტე, მეორე მხარეს — ღვთისმშობელი ყრმით ხელში, აქეთ-იქით კი ფეხზე მდგომი წმინდანები. ბარძიმის ზედა ნაწილში ერთ სტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა: აფხაზეთის მეფე ბაგრატი და მისი დედა გურანდუხტი ბარძიმს სწირავენ მათ მიერვე ახლად აშენებულ ბედიის ეკლესიას.



ბედიის ჭედურ თასზე ნათლად ჩანს X-XI საუკუნეების ოქრომჭედლობისათვის დამახასიათებელი ნიშნები პლასტიკური სკულპტურული გამოსახულების ძიება. ფიგურები საკმაოდ ამბლლებული რელიეფითაა დამუშავებული, ზოგი ფიგურის თავი და ხელები თითქმის მრგვალი ფორმისაა. ბედიის ჭედური თასი დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

ქართული



# ეპოლას ეპიდემიასთან

## დაკავშირებით, საქართველო დაბალი

### რისკის ქვეყნებს შეიკუთვნება

ეპოლას ეპიდემიასთან დაკავშირებით, საქართველო დაბალი რისკის ქვეყნებს მიეკუთვნება, - ამის შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ჟურნალისტებს თემის კომენტარებისას განუცხადა.

მისივე თქმით, საქართველოს ჯანდაცვის სისტემა საერთაშორისო რეგულაციებთან სრულ შესაბამისობაში მოქმედებს.

„პანიკის არანაირი საფუძველი არ არის. ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა მზადყოფნაშია იმისათვის, რომ საერთაშორისო რეგულაციების შესაბამისად გა-

ადამიანებზე მონიტორინგს, ვინც საქართველოში ეპოლათი დასენიანებული ოთხი ქვეყნიდან შემოდის. ეს ქვეყნებია: ნიგერია, ლიბერია, სიერა-ლეონე და გვინეა.

გამყრელიძის განმარტებით, ამ ოთხი ქვეყნიდან განსაკუთრებით სამშია გავრცელებული ეპოლა, ხოლო ნიგერიამ უკვე ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ვირუსის გავრცელება შეაჩერა. „ამ ქვეყნებიდან საქართველოში აგვისტოს შუარიცხვებიდან დღემდე შემოსულია 86 ადამიანი. აქედან უმრავლესობა, ერთის გარდა, იყვნენ ნიგერიელი სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ საქართველოს უნივერსიტეტებში. ერთი იყო ლიბერიაში მყოფი საქართველოს მოქალაქე, რომელიც იქ მუშაობდა.

ამ ადამიანებს საზღვარზე ურიგდებათ სამახსოვრო ქართულ და ინგლისურ ენაზე, სადაც ჩამოთვლილია ის სიმპტომები, რაც ეპოლას ახასიათებს და საჭიროების შემთხვევაში მათ შეუძლიათ მიმართონ ან დარეკონ მითითებულ ტელეფონებზე.

„ამ დაავადების მაქსიმალური ინკუბაციური პერიოდი არის 21 დღე და ამ პერიოდში მათზე ხდება ეპიდზედამხედველობა, რაც გულისხმობს იმას, რომ პერიოდულად, ჩვენი ეპიდემიოლოგი მათ ურეკავთ და მოიკითხავს რაიმე სიმპტომი ხომ არ გამოჩნდა. 21 დღის შემდეგ ისინი



დავით სერგეენკო

იხსნებიან ზედამხედველობიდან. უმრავლესობა უკვე მოიხსნა ამ ზედამხედველობიდან და ამ ეტაპზე 13 ადამიანი რჩება ზედამხედველობის ქვეშ“, - განაცხადა გამყრელიძემ.

მისივე თქმით, გარდა ამისა, საქართველოს მთავრობამ 1-ელ ოქტომბერს მიიღო განკარგულება ეპოლასთან ბრძოლის ღონისძიებების გაძლიერებასთან დაკავშირებით, რომელშიც სხვადასხვა უწყებების მოვალეობები განერილი. „ეს გახლავთ სამოქმედო დოკუმენტი დღეს ქვეყანაში, რომლითაც ხდება პრევენცია შესაძლო შემთხვევის, რომლის ალბათობა ძალიან ნაკლებია“, - განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

ეპოლას ვირუსი



ამირან გამყრელიძე

ნახორციელოს მეთვალყურეობა. საბედნიეროდ, დღეის მდგომარეობით, არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა და ვადასტურებ კიდევ ერთხელ, რომ ჯანდაცვის სისტემა მზად არის, უპასუხოს ყველა საჭირო გამოწვევას“, - აღნიშნა დავით სერგეენკომ.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, ამირან გამყრელიძის განცხადებით კი, აგვისტოს შუარიცხვებიდან ანარმოებენ იმ





# რეგენა სიყვარულზე

## სიმონ ჩიქოვანი და მარიკა ელიავა

თბილისი ყოველთვის სავსე იყო თვალეზობიანი მშვენიერი გოგონებით, მაგრამ მათ შორისაც იყვნენ გამორჩეულები - დები სუსანა და მარიკა ელიავები. შუსანა მარიკაზე რამდენიმე წლით უფროსი გახლდათ, ამიტომაც ქალაქმა ის უფრო ადრე გაიცნო. ქუჩაში გასულ მზეთუნახავს ყოველთვის ათობით თვალი მიაცილებდა.

სწორედ იმ პერიოდში უცნაური ადამიანების ჯგუფი გამოჩნდა თბილისის ქუჩებში: ეცვათ კუბოკრული ტანსაცმელი და წითელი ბოლოკი ჰქონდათ გულზე მიბნეული. თითქოს ეს არ კმაროდა, ქცევებიც საკმაოდ უცნაური და ახირებული ჰქონდათ. ისინი ფუტურისტები იყვნენ, კითხულობდნენ უცნაურ ლექსებს და ხალხის ყურადღებას იქცევდნენ. ცნობილია ერთი შემთხვევა, რომელზედაც კარგა ხანს ჭორაობდნენ ქალაქში. თურმე რუსთაველის თეატრში, შუა სპექტაკლის დროს, ერთ-ერთი ფუტურისტი უკნიდან მიეპარა გრიგოლ რობაქიძეს და პარიკი მოჰპარა. ატყდა ერთი ამბავი, მაგრამ გაქცეულს ვინღა დაეწყო?

აი, ასეთი არაორდინარულები იყვნენ ფუტურისტები და რა გასაკვირი იყო, რომ სიყვარულშიც სასწაულები ჩაედინათ!

ცნობილი ფუტურისტები გახლდნენ: სიმონ ჩიქოვანი, აკაკი ბელიაშვილი, ბესარიონ ჟღენტვი, ნიკოლოზ და დემნა შენგელაიები... ერთ მშვენიერ დღეს, როცა რუსთაველის გამზირს სუსანა და კიდევ ერთი ლამაზმანი მოუყვებოდნენ, სიმონ ჩიქოვანს სუსანასკენ კი არ გაექცა თვალი, არამედ მის გვერდით მყოფს

მიაჩერდა და მოჯადოებულებით იკითხა:

- ვინაა ეს ანგელოზი?
- ეს მშვენიერი არსება სუსანას დაა, მარიკა, - ღმილით მიუგო ნიკოლოზ შენგელაიამ.
- ეს გოგო ჩემი ცოლი გახდება!
- თქვა სიმონმა და იმ დღიდან ყველაფერს აკეთებდა, რომ გოგოს ეს უცნაური ახალგაზრდა მოსწონებოდა.

მარიკა და სიმონი ერთმანეთს რამდენიმე წელი ხვდებოდნენ. სიმონი არ ეპუებოდა მარიკას თავნებობას. გოგო "ახირებულ და ცოტათი შერეკილ" პოეტს გულის კარს არ უღებდა. სიმონე კი განუწყვეტლივ უძღვნიდა მარიკა ელიავას ლექსებს. ისეთ რამეს წერდა, რაც მას სურდა, რაზეც ის ოცნებობდა, ეს მარიკას ძალიან აბრაზებდა და ხშირად ებუტებოდა შეყვარებულ პოეტს. ერთხელ, როცა მარიკა ქობულეთში ისვენებდა, სიმონმა ჩააკითხა და მოინახულა. თან იარაღი ჰქონდა. გოგოს გაუწოდა, - აჰა, ნახე, რა კარგი რევოლვერი მაქვსო. დაინტერესებულმა მარიკამ კარგა ხანს ათვალიერა რევოლვერი. როცა სიმონმა უკან მოსთხოვა და მანაც დაუბრუნა, ეს უთხრა: ახლა მე ამით თავს მოვიკლავ და ჩემი სიკვდილი შენ დაგბრალდებაო. მარიკა კვლავ გაუბრაზდა, მაგრამ განანწყენებული გოგოს შემორიგებას სიმონ ჩიქოვანი ისევ ლამაზი ლექსებით და გულწრფელი სიყვარულით ახერხებდა.

მარიკა ხშირად ცივდებოდა და ავადმყოფობდა. ამას ძალიან დარდობდა სიმონი, რადგან საყვარელ გოგოს ხშირად ვერ ხვდებოდა. ერთხელ, მეგობარმა ჩიქოვანს უთხრა, - რას გადაეკიდე ამ ავადმყოფ გოგოს, გაიხედ-



გამოიხედე, რამდენი კარგი გოგო დადისო. პოეტს კი უპასუხია: ჩემი და მარიკას ერთობლივი ცხოვრება წინასწარ მაქვს წარმოდგენილი, მისთვის ფიქრშიაც კი არ მიღალატიაო.

როგორც იქნა, ახლა სიმონ ჩიქოვანის ოცნება - მარიკა ცოლად გაჰყვა. ისინი 1932 წელს დაქორწინდნენ, მაგრამ მალე მარიკას ოჯახს დიდი ტრაგედია დაატყდა თავს. რომ არა სიმონის თანადგომა, იგი ვერ გადაიტანდა ამხელა ტკივილს.

მარიკა ელიავას ოჯახს თბილისში ყველა იცნობდა. მისი მამა, ნიკო, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქალაქისთავი (ახლანდელი მერი - ავტ.) გახდა. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ ნიკო იძულებული გახდა

ჟორდანისას მთავრობას საზღვარგარეთ გაჰყოლოდა. ცოლ-შვილიც უნდოდა თან წაეყვანა, მაგრამ მაშინ ბევრი რამ იყო ხელის შემშლელი და ისინი ბათუმიდან უკან, თბილისში დაბრუნდნენ,



ნიკო კი უცხოეთში გაემგზავრა და იმედი ჰქონდა, რომ მოგვიანებით ცოლ-შვილიც შეუერთდებოდა. ბედის ირონიაა, რომ ნიკოს ძმა, შალვა, მე-11 არმიის ერთ-ერთი მეთაური იყო. სწორედ მან გამოამგზავრა ძმის ცოლ-შვილი თბილისში, შემდეგ კი გერმანიაში, სადაც ნიკო სულმოუთქმელად ელოდა ოჯახს. მალე იქ კრიზისი დაიწყო და ნიკომ ქალიშვილები, სუსანა და მარიკა სკოლიდან გამოიყვანა. სერგო ორჯონიკიძე იმ პერიოდში გერმანიაში ყოფილა (ან იქნებ სპეციალურად ჩავიდა სტალინის დავალებით), ნიკო მოინახულა და უთხრა: სტალინმა დამაბარა, ჩამოვიდეს ნიკო, სოციალიზმი ერთად უნდა ავაშენოთო. სტალინი ელიაშვიტთან მართლაც ახლოობდა. მათთან სახლში ხშირად დადიოდა, ამიტომ ნიკო ენდო მის სიტყვას და 1924 წელს ოჯახით დაბრუნდა თბილისში. სწორედ მაშინ დაადგა თვალი სიმონ ჩიქოვანმა ლამაზ მარიკას. გავიდა დრო. როგორც იქნა, ხანგრძლივი "წვა-დაგვის" შემდეგ წყვილმა ბედნიერების გვირგვინი დაიდგა თავზე, მაგრამ დადგა ავბედითი 1937 წელი და ნიკო, მისი ვაჟი ზურაბი და რძალი თინა, სამივე ერთად დააპატიმრეს. ნიკოს და ზურაბს სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა მიუსაჯეს, თინა კი გადაასახლეს. მათ დარჩათ ვაჟი, პატარა ნიკა, რომელიც უკვე შეუღლებულმა მარიკა და სიმონმა სასწრაფოდ იშვილეს, რომ ბიჭისთვის "მტრის შვილის" დამლა აეცილებინათ.

იმისათვის, რომ მაშინ მწერლებს და პოეტებს თავი გადაერჩინათ, ნილბის გაკეთება უწევდათ, ზოგჯერ ისინი სახობტო ნაწარმოებებს უძღვნიდნენ სტალინსა და ბერიას. გამონაკლისი არც სიმონ ჩიქოვანი აღმოჩნდა. მან ლექსი მიუძღვნა ლავრენტი ბერიას. ეს რომ მარიკამ გაიგო, მწარედ ატირდა. როგორი ასატანი

იყო, მისი ქმარი ლექსში აქებდა იმ პიროვნებას, რომელმაც მამა და ძმა დაუხვრიტა, ახალგაზრდა რძალი კი შუა აზიაში გადაუსახლა, მაგრამ მარიკამ ისიც იცოდა, რომ ამას სიმონი ოჯახის გადასარჩენად აკეთებდა. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში სიმონე დიაბეტით დაავადდა. თანდათან მხედველობა დაუქვეითდა, მაგრამ არ უმხელდა მარიკას, რომ არ ენერვიულა.

თავის მხრივ, მარიკაც უმაღავდა ქმარს, რომ ავთვისებიანი სიმსივნე ჰქონდა. მან ქმარი ბათუმში დასასვენებლად გაამგზავრა, თვითონ კი მაშინდელ ლენინგრადში სასწრაფოდ გაემგზავრა ოპერაციის გასაკეთებლად. ეს რომ სიმონ ჩიქოვანმა გაიგო, ისიც მარიკასთან წავიდა. ოპერაციის შემდეგ მარიკას მდგომარეობა დროებით გაუმჯობესდა... ყველანაირად ცდილობდა, ქმრისთვის კვლავ ხელი შეეწყო... როცა სიმონე გარდაიცვალა, ორი წლის შემდეგ ისიც ქმარს მიჰყვა, წინდანინ კი ყველას დაუბარა, დამწვით და ფერფლი ჩემი ქმრის საფლავზე მიმოაბნით, მინდა იმ მიწას შევერიო, სადაც სიმონი ასვენია, მის გარეშე არაფერი ვიყავი, ამიტომ მინდა, ბოლომდე მასთან დავრჩეო.

მამადავითზე, ბრონეულის ხის ფესვებთან, სიმონ ჩიქოვანის მეუღლის ფერფლით სავსე ურნა ასვენია. ასეთი იყო ანდერძი ქალისა, რომელსაც საოცარი გრძნობით უყვარდა ქმარი. ეს ანდერძი ლეგენდად იქცა და დღემდე ისხენებენ ამ ლამაზი წყვილის ურთიერთობას. ისინი სიცოცხლეში ყველას აკვირებდნენ უჩვეულო, ფაქიზი გრძნობით და ლეგენდად ქცეული სიყვარული იმ ქვეყნადაც თან გაიყოლეს.

მარინა ბაბუნაშვილი



სტუმარი

# არის თუ არა

# უმაღლესი განათლება წარმატების ბარანტი

## ველერი მეჭარაძე



**„ცოდნა ხომ ხერხია, მაგრამ თვითონ, თავის თავადაც სიმდიდრე არის, მერე იმისთანა სიმდიდრე, რომ კაცი საცა წავა თან მისდევს უხარჯოდ და უბარგოდ, ვერცა ვინ მოჰპარავს, ვერცა ვინ გადაუდგება“.** ეს ღირსეული სიბრძნეა, მაგრამ სად მიიღებ ამ ცოდნას, ცოდნას, რომელსაც პრაქტიკულად გამოიყენებ, ხშირ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონია. ბეკონი ამბობს: **„მეცნიერება უნდა ემსახუროდეს ხალხს და არა მეცნიერებასო“**, ცოდნა მაშინ არის კარგი თუ ის გამოყენებადი. მაგალითად: **ინგვარ კომპრადს** უნივერსიტეტში არასდროს უსწავლია, მაგრამ დღეს იგი ავეჯის ყველაზე დიდი კორპორაციის მფლობელია. **ფორდს** უმაღლესი განათლება არ ჰქონია, მაგრამ მისი ნვლილი სამრეწველო პროგრესსა და ავტომობილების ბიზნესში ფასდაუდებელია.

**მარკ ცუკერბერგი** ჰარვარდიდან წავიდა და დღეს იგი სოციალური ქსელის ერთ-ერთი დამაარსებელია.

ამდენად, ქართული მითი, რომ ოჯახის შვილმა აუცილებლად უმაღლესი განათლება უნდა მიიღოს, რათა იყოს წარმატებული, ამგვარ ადამიანთა ისტორიებმა დაამსხვრია.

წარმატება არა ოფიციალურ დიპლომშია, არამედ პრაქტიკულ ცოდნასა და გამოცდილებაში, რასაც აუცილებლად სჭირდება

თავმჯდომარედ მუშაობდა, შვილი საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, ხოლო რძალი საბავშვო ბაღის სამნეო განყოფილების გამგე იყო. მათ ცხოვრების სიდუხჭირე არასდროს უგრძენიათ. ცხოვრობდნენ ტკბილად, თანასოფელელთა ალიანსში ერთობა და კეთილგანწყობა იყო მხოლოდ მათი მაკავშირებელი. მაგრამ როგორც ვაჟა ამბობს: „ამ წუთისოფლის თორნეში“ ცხოვრებით ტკბობა ხშირად ხანგრძლივი არ არის. მაჭარაძეების ოჯახსაც ნაადრევად

## „წუთისოფლის თორნეში გამომცხვარი ჯერი“

### ვაჟა-ფშაველა

ნიჭი, უნარი, შრომისმოყვარეობა და მიზანდასახულობა. სწორედ ამ თვისებებით არის აღჭურვილი ერთი ვანელი ბიჭი, დღეს უკვე წარმატებული ბიზნესმენი ვალერი მაჭარაძე, რომლის ცხოვრებაც ბევრი ახალგაზრდისთვის დიდი მაგალითია. ეს ყველაფერი კი ასე დაიწყო!..

ვანის რაიონში, სოფელ ტობანიერში მაჭარაძეების გვარის ერთ-ერთი ღირსეული ოჯახი ცხოვრობს. საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული ოჯახი ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო. ოჯახის უფროსი 33 წლის მანძილზე რაიონის რაიადმასკომის

გადაუქროლა საბედისწერო ქარცეცხლმა. ნაიქცა ოჯახის ფუძე, მამა და მარტოხელა დედის



ვალერის დედა —  
ქალბატონი ლანა



და ღვთის ანაბარად დარჩა ორი ობოლი ქალ-ვაჟი. ქალბატონი ლანა, მაჭარაძეების ქვრივი, ოთარანთ ქვრივივით შემართებული დასტრიალებდა უმამოდ დარჩენილ ბავშვებს, მაგრამ ცხოვრების სიმძიმე ძნელად სატარებელი აღმოჩნდა მისთვის. გაუჭირდათ ფინანსურად, სოციალურად. მცირენაწიანი ბავშვების დედა გამოსავალს ეძებდა, რაც თვალსაჩინო მიღმა იყო. სწორედ ამ დროს ჩაეკრა ობლის კვერი „წუთისოფლის თორნეში“ და იწყო ცხოვბა.

ვალერი ამ დროისათვის უკვე 12-13 წლის ბიჭი იყო. სკოლაში კარგად სწავლობდა, ბიბლია და 150-მდე დასახელების წიგნი წაკითხული ჰქონდა. უცბათ დედას განუცხადა, რომ ოჯახს დახმარება სჭირდებოდა, რადგან მამა გვერდით აღარ ჰყავდა, ოჯახის მთელი ტვირთი თავის თავზე უნდა აეღო, სკოლისათვის თავი უნდა დაენებებინა და ბიზნესი წამოეწყო. ამის გამგონე დედა ცუდად შეიქმნა, მეუღლის გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი გაუასმაგდა და შვილს სთხოვა, რომ მამის სულს უფრო მეტ მადლს და ნათელს მისი აკადემიური განათლება და წარმატებული მომავალი მოჰფენდა. ქალბატონი ლანასთვის იმ დროს წარმოუდგენელი იყო შვილის ამგვარი მომავალი. ბავშვი დედას განუდგა, არ დაემორჩილა

და 13 წლისამ დამოუკიდებლად დაიწყო ბიზნეს-საქმიანობა. თავდაპირველად საბჭოთა პერიოდის ნარჩენ ლითონებს ეზიდებოდა და აქედან დაიწყო გზა აღმავლობისაკენ.

ვალერი საოცრად ჭკვიანი და აქტიური აღმოჩნდა. ცხოვრებამ სასწაულებრივად გაუმართლა, რაღაც 7 წელიწადში ბიჭმა დაუჯერებელ წარმატებას მიაღწია. 20 წლის უკვე მილიონიანი კაპიტალის მფლობელი გახდა. ოჯახმა ამოისუნთქა. დედა შეჰყურებდა ვაჟს და მისი წარმატებით ტკბებოდა, მხოლოდ ერთი ტკივილი აწვა გულზე, რომ მამა ვერ მოესწრო შვილის ბედნიერებას.



ვალერი მაჭარაძე და გივი სიხარულიძე

თუმცა ცხოვრება კიბეა და მისი საფეხურები კი არამდგრადი. ვალერის ცხოვრების მწვერვალი 2008 წელს ნისლმა დაფარა, ქვეყნის მმართველმა ძალამ დაგროვილი კაპიტალის დიდი ნაწილი წაართვა, რის გამოც ვაჟი კიბის პირველ საფეხურზე აღმოჩნდა. თუმცა ეს ქონება ხომ მისმა ნიჭმა და გონებამ შექმნა. ამიტომ შეურაცხყოფილმა პატარა ბიზნესმენმა ცხოვრებას გააღმასებული თვალთ შეხედა, მიზანი დაისახა და დაიწყო სწრაფვა მისი აღსრულებისაკენ.

დღეს ვალერი მაჭარაძე 28 წლის წარმატებული ბიზნესმენია. ფინანსურთან ერთად ცდილობს შეიქმნას ინტელექტუალური იმიჯი. ყოველდღიურად კითხულობს, აინტერესებს ცნობილი და წარმატებული ადამიანების ისტორიები, რასაც ხშირ შემთხვევაში ცხოვრების საფუძვლადაც იქმნის.

შექმნა ლამაზი ქართული ოჯახი. მეუღლე თეონა სვანიძე თვალეში შესცივინებს ქმარს და ცდილობს იყოს ისეთი რძალი და ისეთი ცოლი, როგორც მას და მის დედას გაუხარდება.

ვალერი მაჭარაძე მეგობრებისთვისაც მნიშვნელოვანი და მისაღები ფიგურაა. მან კარგად იცის გვერდით მდგომის ფასი...

წარმატებას ვუსურვებ ვალერის და მის ახლადშექმნილ ოჯახს.

**ნინო რეხვიაშვილი**

„საქართველო ვარ, ჯვარცმული გული  
საოცრად მტკივს“ ...

კარი გამიღეთ...

კარი გამიღეთ სიყვარული ვარ, მინდა გულეში დავიდო ბინა,  
კარი გამიღეთ სიხარული ვარ, მინდა სიცოცხლის განუქო დილა.  
კარი გამიღეთ სასიკეთო ვარ, მინდა ნუგეშის გაგაწნათ სილა,  
კარი გამიღეთ სილამაზე ვარ, მინდა მიჯნურებს ავიხდეთ სილვა.

კარი გამიღეთ, წარმატება ვარ, მინდა ღარიბებს გადმოგვცეთ ქისა,  
კარი გამიღეთ სულიწმინდა ვარ, მინდა სიმშვიდით დავიწყო წირვა.  
კარი გამიღეთ ეკლესია ვარ, ლოცვით გამათბეთ მუდმივად მცია,  
კარი გამიღეთ საქართველო ვარ, ჯვარცმული გული საოცრად მტკივა.

კარი გამიღეთ პატრიარქი ვარ, მინდა გაშორეთ კუთვნილი რისხვა  
კარი გამიღეთ მოციქული ვარ, დროა გაიცნოთ ზავლე და შილა  
კარი გამიღეთ ნინოს ჯვარი ვარ, მომხსენით ტანზე დამცავი მინა  
კარი გამიღეთ უფლის კვართი ვარ, არ მინდა გულზე დამადოთ ფილა.

კარი გამიღეთ ნოსტალგია ვარ, თქვენ სომ სამოთხის იუპით თისა,  
კარი გამიღეთ აფხაზეთი ვარ, ნუთუ არ განსოვთ კამკამა რიწა.  
კარი გამიღეთ, სამახაბლო ვარ, ვაი ბელადებს ემსხვერპლა მიწა,  
კარი გამიღეთ საინგილო ვარ, ნუ დამივიწყებთ არა ვარ სხვიანა.

კარი გამიღეთ ემიგრანტი ვარ, უკვე დაბრუნდნენ გოჩა და ხვიჩა,  
კარი გამიღეთ დედო ზარი ვარ, არ შეახერთო სოდომის კიცხვა.  
კარი გამიღეთ ქართლის დედა ვარ, მოწვევტილ შვილთა ჩამქსმის გმინვა,  
კარი გამიღეთ რუსთაველი ვარ, ჯვრის მონასტერში მომთხოვეს ქირა.

კარი გამიღეთ მეკობარი ვარ, უთქვენოდ სულში საოცრად გრილა,  
კარი გამიღეთ მათხოვარი ვარ, სურდაფულებით გამივსეთ ქილა.  
კარი გამიღეთ ავაზაკი ვარ, უკანა კაცი გამხდარა წინა,  
კარი გამიღეთ ზიარება ვარ, მინდა გადმოგვცეთ სამოთხის ვიწა.

კარი გამიღეთ გაბრწყინება ვარ, მინდა ცხოვნების დაგადგათ მიტრა,  
კარი გამიღეთ ტაოს მიწა ვარ, ნუ გიმნელდებთ ტამრების ეიდვა.  
კარი გამიღეთ გაბრიელი ვარ, მინდა ბილიკი გასწავლოთ ცისა,  
კარი გამიღეთ, მოკუდი, მე ვარ, ადევით მკვდრეთით გათუნდა კვირა.

მამა გიორგი თევდორაშვილი




**როცა ცხონება ხდება მიზანი**

როცა გეცემა ცრემლები ღრუბლის, რატომ არ ტირი ადამიანო  
 როცა ითხოვენ შენს დახმარებას, სად იმალები ადამიანო  
 როცა უფალი გააკრეს ჯვარზე, რად მიატოვე ადამიანო  
 როცა სამშობლო ითხოვდა შევლას, ტკბილად გეძინა ადამიანო.  
 როცა ანგრეგდნენ საუფლო ტამბრებს, სად ლოცულობდი ადამიანო  
 როცა უდიდნენ მამულებს მტრებსე, რაზე ფიქრობდი ადამიანო  
 როცა გაცვალა მეუღლემ სხვაზე, რატომ დამალე ადამიანო  
 როცა გიუბრდა მიჯნური ქალი, რად მიატოვე ადამიანო.  
 როცა მოკთხოვა ბოროტმა ხარკი, რითი იხდიდი ადამიანო  
 როცა გონება გაუიხდა ბლაგვი, ვინ შეგამჩნია ადამიანო  
 როცა მთებიდან დაბრუნდი ბარში, რა მოგეწონა ადამიანო  
 როცა მშიერი ატირდა ბავშვი, სად ქეიფობდი ადამიანო.  
 როცა მომაკვდავს წუწროდა წული, შენ ღვინოს სვამდი ადამიანო  
 როცა მეკობრად გაუიხდა ძაღლი, ვინ გამოდიხარ ადამიანო  
 როცა ვნებისგან დაკარგე ძაღლი, დაეცი ქვეყნად ადამიანო  
 როცა მოყვასის დაგედო ვალი, არ გიფიქრია ადამიანო.  
 როცა მორალის გაგიწვდა მარღვი, რით გადააბი ადამიანო  
 როცა ეშმაკმა შეგასვა მძარი, რატომ დალიე ადამიანო  
 როცა დაკარგე მშობლების ჯავრი, უმადლო გახდი ადამიანო.  
 როცა გაგიტედა ვადაში სმალი, რითი იბრძობდი ადამიანო  
 როცა ღალატის დაგედო ბრალი, ვინ გაგამართლა ადამიანო  
 როცა კარებსე დაკიდე ნალი, ვისი ირწმუნე ადამიანო  
 როცა ნათლობის გაკიდე ჯვარი, რას ატარებდი ადამიანო.  
 როცა სინდისის წაშალე კვალი, მითხარი ვინ ხარ ადამიანო  
 როცა ნამუსის მოკხადეს ქუდი, რა დაიხურე ადამიანო  
 როცა კარგსე თქვი უტიფრად ცუდი, როგორ მოკმართო ადამიანო  
 როცა ღალატით იმოვე ფული, გამედიდურდი ადამიანო  
 როცა სტომაქსე გაცვალე სული, გამაიმუნდი ადამიანო.  
 როცა უნიჭომ აიღო ფუნჯი, ფიროსმანობდი ადამიანო  
 როცა ცა იყო საოცრად ლურჯი, შენ შავს ხატავდი ადამიანო  
 როცა ოცნებას გაავლე ხსული, რად იცინობდი ადამიანო  
 როცა იხილე უმწეო ნუკრი, უმალ შეჭამე ადამიანო  
 როცა გეწვია მეკობრის მური, რატომ მოკალი ადამიანო  
 როცა მიილე აზრები კრული, მშვიდად აუევი ადამიანო  
 როცა მიხედები რომ გახდი ცუდი, გამოიღვიძე ადამიანო  
 როცა ჩაქრება ფანჯრებში შუქი, გვიან იქნება ადამიანო  
 როცა გლოვობდა ქართველი დედა, რას სვიმობდი ადამიანო  
 როცა გაჭრიდნენ მამულებს ირგვლივ, შენ ვის იცავდი ადამიანო  
 როცა გესტუმრა ოჯახში მწირი, რატომ გაავდე ადამიანო  
 როცა გამეფდა ბუნებით გიჟი, რატომ უკმევიდი ადამიანო  
 როცა გონება გაუიხდა ცივი, რითი გაათბე ადამიანო  
 როცა მრუშობა გეგონა ტკბილი, მწარე აღმოჩნდა ადამიანო  
 როცა ტუეილად დაგწამეს ცილი, ვინ შეგიწვალა ადამიანო  
 როცა მამისგან მიილე წილი, ვისთან გაფლანგე ადამიანო.

**მამა გიორგი თევდორაშვილი**



# ვალერია ძამია



**ვალერია ძამია** დაიბადა და გაიზარდა თბილისში, სწავლობდა თბილისის მე-8 საჯარო სკოლაში, თუმცა სიცელქის გამო ბევრი სკოლის გამოცვლა მოუწია. ძალიან უყვარდა ოპერა, ამის გამო მას და მის მეგობრებს „ოპერის ბირჟავიკებს“ ეძახდნენ.

მართალია ბატონი ვალერიაძის თაობას ნაკლებად მოსწონდა სამხედრო სამსახური, მაგრამ სკოლის დამთავრების შემდეგ იგი სევასტოპოლში, საზღვაო სასწავლებელში გაგზავნეს, მერე კი ომი დაიწყო.

1943 წელს ვალიკო ძამია ტყვედ ჩავარდა. ალბათ ტყვეობაში დაიღუპებოდა კიდევ, რომ არა მისი ამხანაგი ვახტანგ მირიანაშვილი, რომელმაც მოახერხა მისი საკონცენტრაციო ბანაკიდან გაყვანა. დიდხანს იმალებოდა ჩრდილოკავკასიელებთან, რომლებიც დასუსტებულ ვალიკოს უვლიდნენ.

ომის შემდეგ იგი არა როგორც ტყვე, არამედ როგორც თავისუფალი ადამიანი გერმანიაში მოხვდა. სწორედ მაშინ იხანა მან სკოლაში გერმანული ენის არ სწავლა. გერმანიაში იყო ბანაკი, სადაც ყველა საბჭოთა მოქალაქეს თავს უყრიდნენ, აწყობდნენ საჩვენებელ სასამართლოებს, ტყვეს შეკითხვას უსვამდნენ და პასუხსაც თვითონვე იძლეოდნენ, შემდეგ იქვე გამოჰქონდათ განაჩენი და საბოლოოდ ხვრეტდნენ.

ვალიკოს სამშობლოში დაბრუნება ძალიან უნდოდა. მას ერთი რუსი მეგობარი დუხანინი ჰყავდა. მისთვის რომ გაუმხელია სამშობლოში დაბრუნების სურვილი, პასუხად მიიღო, რომ საბჭოთა კავშირში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაბრუნება, ამის გამო ვალიკო დაძრული მანქანიდან გადმომხტარა და გერმანიაში დარჩენილა. ბატონი შოთა შოთაძე, რომელიც მანქანაში ვალიკოსთან ერთად იმყოფებოდა, არის პიროვნება რომელიც თბილისში ყოფნის დროს ვალიკოს ოჯახს ესტუმრა. ოჯახის წევრებს ვალიკო დაკარგული ეგონათ, სწორედ ბატონი შოთას დახმარებით შეიტყვეს, რომ მათი ოჯახის წევრი ცოცხალი იყო.

მიუნჰენში რადიოში მუშაობდა, ტექნიკურ განყოფილებაში. ენა უჭრიდა, ამიტომ ხანდახან გადაცემებიც მიჰყავდა. არ უნდოდა გერმანიიდან წასვლა, მაგრამ მისი პირველი უკრაინელი მეუღლის

დაჟინებით 1956 წელს შეერთებულ შტატებში გაფრინდა. ნიუ-იორკში დასახლდა და მას შემდეგ იქ ცხოვრობდა. ჯერ დურგლობდა, მერე ხაზვის ნიჭი აღმოაჩნდა,

შეისწავლა გათბობა-გაგრილების სესტემა, შემდეგ კი სამსახურში მოეწყო. ძალაუფლებურად გვარის შემოკლებაც მოუწია. ძამიაშვილს „შვილი“ მოხსნა, რადგან ამერიკელებს მისი გვარის წარმოთქმა და წერა ძალიან უჭირდათ.

„სამშობლოს გრძნობა - ეს არის ადამიანის სულის ერთ-ერთი ურთულესი გამოვლინება, ადამიანის სულიერ ცხოვრებაში ყველაზე ზუსტი ორიენტირი; არ არსებობს დედამიწის წურგზე ადამიანი, ეს გრძნობა რომ არ ეუფლებოდეს, მაგრამ ჩვენ მაინც გვგონია, რომ ნოსტალგია წმინდა ქართული ავადმყოფობაა.“ - ასე ხსნიდა სამშობლოს მონატრებას ბატონი ვალიკო, მართლაც, ქართველებს მამულის სიყვარული სხვაგვარად გვესმის!

ერთი წუთიც არ ყოფილა, რომ მას თავის ქვეყანაზე არ ეფიქრა. კითხულობდა ქართული ლიტერატურის ისეთ მარგალიტებს როგორცაა კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ და „მთვარის მოტაცება“, მიხეილ ჯავახიშვილის რომანები და მოთხრობები. სწორედ ამ წიგნების წყალობით მის ცხოვრებაში მოვიდა საქართველო, ქართული ენა, ქართული წიგნი, ქართული სიმღერა და ქართული სიყვარული.

ემიგრანტობაში პატრიოტული პოზიციის გატარება ადვილი არ იყო. მათთვის მთავარი რწმენა და იმედი იყო, იმედი იმისა, რომ დადგებოდა დრო, როცა სიტყვა „ემიგრანტი“ მოლაღატის ტოლფასი აღარ იქნებოდა,



როცა საქართველოში ჩამოსვლის უფლება ექნებოდათ. მთავარი დრო და მოთმინება იყო, ამ ქვეყნად ყველაფერი იცვლება, ერთი რამის გარდა, უნდა გახსოვდეს „ვისი გორისა ხარ“!

ემიგრაცია მძიმე გამოცდაა, საქართველოსგან შორს ისე უნდა იცხოვრო, რომ სამშობლოში დაბრუნებისას ხალხისთვის თვალეში ჩახედვის არ შეგერცხვეს. ბატონმა ვალერიანმა მართლაც ღირსეულად განვლო ცხოვრების ეს რთული პერიოდი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მისი უშუალო მონაწილეობით 90-იან წლებში რამოდენიმეჯერ დიდი რაოდენობით ჰუმანიტარული დახმარება გაიგზავნა საქართველოში. ამას გარდა იგი არაერთხელ დახმარებია ქართველებს სამეცნიერო-დოკუმენტალური ფილმის დაბეჭდვაში, გამოფენის მოწყობაში და სხვა მრავალი ღონისძიების ორგანიზებაში.

53 წლიანი განშორების შემდეგ 1994 წელს ბატონი ვალიკო მართლაც ესტუმრა საქართველოს. კითხვაზე, იმ დროისთვის იყო თუ არა ბევრი ქართველი შეერთებულ შტატებში და როგორი ურთიერთობა ჰქონდათ, მისი პასუხი ასეთი აღმოჩნდა: „ათასზე მეტი კაცია, ზუსტად ვიცი, სიები მაქვს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს ათასი კაცი დათითოებულა, შეკრული არ არის, ბევრიც იმალება.“

ვისაც თავის შეყრა გვიხარია, შობას ან აღდგომას ეკლესიაში მივდივართ, მღვდელი გვყავდა ქართველი, ამერიკულ ეკლესიაში. ახლა სხვა შტატში გადავიდა, მაგრამ თუ ვთხოვთ, ჩამოდის ხოლმე. 26 მაისს, ნინოობას და 24 წლის აჯანყებას აღენიშნავთ, ახლა 24 აგვისტოს მაგივრად 9 აპრილს ვიყრით ხოლმე თავს.“

პატარა ქართულ ჯგუფს 1932 წელს ნიუ-იორკის შტატის სამმართველოში გაუფორმებია ქართული სათვისტომოს ასოციაციის ლეგალური არსებობა, რომელიც ქართველი ერის ინტერესებს ემსახურებოდა და ჭეშმარიტ ცნობებს აწვდიდა

საქართველოთი დაინტერესებულ ინსტიტუტებს და პიროვნებებს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ში ჩასულ მეორე თაობის ემიგრანტებს სწორედ ქართული სათვისტომო მასპინძლობდა. შემდგომში კი ბატონი ვალერიან ძამიაც გამხდარა ამ სათვისტომოს მდივანი.

ბატონი ვალიკო სიამაყით აღნიშნავდა, რომ ქართული კოლონიის საქმეებში განსაკუთრებით გაიზარდა ქართველი ქალების როლი. იმ დროისთვის მოღვაწეობდნენ: ელისაბედ ზაღდას-ტანიშვილი, ნათელა ჩხატარაშვილი, მერი კვიციანი და სხვა. მისი აზრით, ქართული კოლონიის ტრადიციებს ისინი ღირსეულად გააგრძელებდნენ.

ბატონმა ვალიკო ძამიამ შეინახა და შეინარჩუნა ქართველობა. იგი 42 წელი ცხოვრობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და გულით დაატარებდა პატარა ქვეყანას, რომელსაც საქართველო ჰქვია. ის ხშირად ამბობდა: „ქართველები აქ - სამშობლოში და იქ - საზღვარგარეთ ერთი მთლიანია, ოღონდ ვაშლივითაა მომავლის თესლებით ამოვსებულ გულამდე შუაზე გაპოხილი.“

მისთვის ყოველთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო იმის შეგნება, რომ ემიგრანტი იყო, ემიგრაციაში ცხოვრობდა. და იმისთვის, რომ



ვალერიან ძამია და ენ ფიბსია, სიკო ერისთავის რძალი



ლტოლვილის მდგომარეობიდან გამოსულიყო უნდა ეცხოვრა ღირსეულად, ეშრომა მუხლჩაუხრელად. საკუთარ მოვალეობად მიაჩნდა ქართველად დარჩენილიყო და რაღაცით მაინც გადაეხადა მადლობა იმ ქვეყნისთვის, რომელიც მისთვის მეორე სამშობლოდ იქცა.

ბატონმა ვალიკომ მეორე მსოფლიო ომის დროს ნათლად იგრძნო, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ბოლშევიკური საბჭოთა იყო, მაინც საქართველო იყო, ქართველების ერთადერთი და განუმეორებელი სამშობლო. მას ეკუთვნის სიტყვები: „ჩემი და ყველა ქართველი ემიგრანტის ვალი იყო და არის: მუდამ გვახსოვდეს, ყოველ წუთს, ყოველ წამს ვქართველობდეთ და რასაც უნდა ვაკეთებდეთ - საქართველოს წარმოვადგენდეთ, მის სახელს ვუფრთხილდებოდეთ!“

უკანასკნელ წლებში იგი ძალიან ბედნიერი იყო, რადგან მისმა მეუღლემ, ქალბატონმა მზიამ,

თავის ქალიშვილ, თამუნასთან, ერთად ამერიკაში ქართული კერა გაუღვივეს. ვალიკო ძამია კმაყოფილი აღნიშნავდა: „ახლა მაქვს, რასაც ჰქვია ნამდვილი ქართული ოჯახი: სტუმარმასპინძლობით, ღიმილით, ტკბილი სიტყვით, ალერსით, შენი ჭირიმეთი და შენ შემოგველეთი, ტემპერამენტით, სიცოცხლის ხალისითა და ავკარგიანობით.“

ბატონი ვალიკო იხსენებს: „ბატონ სიკო ერისთავს კავკასიელ ემიგრანტებთან ერთად მეორე მსოფლიო ომის წინ ნიუ-იორკიდან 65 მილის დაშორებით შუქენიათ დასასვენებელი ადგილი „ალავერდი“. როდესაც სათვისტომო გაიზარდა „ალავერდი“ გახდა დასასვენებელი და თავშესაყრელი ადგილი, როგორც კავკასიელების, ისე ქართველებისათვის.“ ბატონი ვალერიან ძამია და მისი მეუღლე ძალ-ღონეს არ იშურებდნენ „ალავერდის“ გადასარჩენად. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ, რათა დაეინტერესებინათ და შეეყვარებინათ ახალი ემიგრანტებისთვის ეს ადგილი.

*„ნინო რეხვიაშვილის გამოცემლობა“  
ყახლოეს მომავალში ვეგმავს წიგნის გამოცემას  
„სამეგრელოს ღირსშესანიშნაობები“,  
რის გამოც გამოცემლობამ დაიწყო აღნიშნული  
მასალების შეგროვება. რომლის მცირე ნაწილსაც ყოველ  
ნომერში შემოვთავაზებთ.  
წიგნში შევა აწარმოოთ გამოქვეყნებული, აწამედ დღემდე  
ყენობი მასალები.*



*რეხვიაშვილის ავტორთან რაზეთ ვიკოლაშვილი*



კოტიანეთის ციხე

კოტიანეთის ციხე მდებარეობს სენაკის რაიონში, ნოქალაქევის დასავლეთით, სამიოდე კილომეტრში, მცირე გორაკზე. იგი ეგრისის სამეფოს დაცვის ერთიან რგოლში შედიოდა. ციხის ფართობი მცირეა, მისი ზომებია — 17X23. შედგება გალავნის, ეკლესიისა და კოშკისაგან. გათხრების შედეგად გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის მიხედვით ციხეც და ეკლესიაც ადრე შუასაუკუნეებით, კერძოდ, IV-VI საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.



**ნაბელის კანკელი**  
(VII-VIII სს.)

ადრინდელი ხანის კანკელებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში დაცული VIII-IX სს. ნებელის კანკელის ფილა. იგი ფიგურათა შესრულების მხრივ სასანური ხელოვნების ტრადიციებს უკავშირდება. ფილაზე ცენტრალურ ადგილას, ზემოთ გამოსახულია „ჯვარცმა“, მის ქვემოთ კი აღდგომის სცენა, დედანი მაცხოვრის საფლავთან. ფილაზე მარცხნივ იშვიათი სცენაა წარმოდგენილი — პეტრეს ტირილი, მის ქვემოთ კი პეტრეს ჯვარცმაა გადმოცემული, იგი ჯვარზე თავდაღმაა დაკიდებული. ფილის მარჯვნივ გამოსახულია „აბრაამის მსხვერპლშენიერვა“, მის ქვემოთ „ნათლისღება“. კანკელის ქვედა ნაწილი ეთმობა ორ სცენას: მარცხნივ „წმ. ევსტათეს ნადირობა“ და მარჯვნივ ორი ხელაპყრობილი მამაკაცი.



**მოქვის ოთხთავი**  
(XIII-XIV სს.)

ანაკლიის ციხე მდებარეობს მდინარე ენგურის შავ ზღვასთან შეერთების ადგილას. სიმაგრეს კვადრატული გეგმა ჰქონდა და კუთხეებში თითო კოშკით იყო გამაგრებული. აღმოსავლეთით მდგარი კოშკები ცილინდრული ფორმისაა, სამხრეთ-დასავლეთით — სწორკუთხა, ჩრდილო-დასავლეთისამ კი ჩვენამდე ვერ მოაღწია. ციხის გალავანი ორიარუსიანია. ქვედა იარუსი ყრუა, ზედა იარუსზე კი საბრძოლო ბილიკების გაყოლებაზე სათოფეებია განლაგებული. ანაკლიაში დასახლებული პუნქტი ადრეული პერიოდიდან ივარაუდება. გამორიცხული არ არის, რომ ძველად აქ სიმაგრეც ყოფილიყო. დღემდე მოღწეული ანაკლიის ციხე მეთვრამეტე საუკუნეზე ადრინდელი არ შეიძლება იყოს. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით ანაკლიის ციხე ოსმალებს აღუდგენიათ 1725 წელს. ოსმალთა მიერ ციხის მფლობელობის თაობაზე ცნობას გვანვდის აგრეთვე კაცია დადიანის წერილი დისადმი, რომელიც ამ პერიოდით თარიღდება. წერილიდან ვიგებთ, რომ მისი ბრძანებით სამეგრელოს ჯარს ანაკლია და რუხის ციხე წაურთმევიათ ოსმალთათვის.



**მოქვის ოთხთავი**  
(XIII-XIV სს.)

მოქვის ოთხთავი გადანერვილია XIII-XIV სს. მიჯნაზე მხატვარ-მინიატურისტის და კალიგრაფის ეფრემის მიერ. 1300 წელს დანიელ მოქველი მთავარეპისკოპოსის შეკვეთით მან გადანერა სახარება, რომელიც მოქვის ოთხთავითაა ცნობილი. სახარება მოზრდილი ფორმატის ნიგნია, ნუსხურითაა ნაწერი ორ სვეტად. მორთულობას შეადგენს მცენარეების, ფრინველების და ცხოველთა ფიგურების გამოყენება. სიუჟეტურად წარმოდგენილია ქრისტეს გენეალოგიური ხე და ღვთისმშობელი ყრმით, რომლის წინაშეც მუხლმოდრეკილი დანიელ მოქველია. სახარების მთელი მორთულობა გადამწერ ეფრემს ეკუთვნის. მოქვის სახარება თავისი მორთულობის სიუხვით საინტერესო ძეგლია.



**ოცარცეს ციხე**

ოცარცეს ციხე მდებარეობს ზუგდიდის რაიონში, მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირას, რუხის ციხის მოპირდაპირე მხარეს. ციხის შესახებ ისტორიული ცნობები არ მოგვეპოვება, აგების თარიღიც მიახლოებით უნდა განისაზღვროს, იგი, ალბათ, XVII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. ოცარცეს ციხე უფრო სადაზვერვო სახის ნაგებობას წარმოადგენს. მოცულობით დიდი არ არის, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში საკმარაოდენობის ჯარსაც დაიტევდა. ტერიტორია მოიცავს გალავნას, კოშკს და რამდენიმე გაურკვეველი დანიშნულების სადგომს. კოშკი დიდი ზომის სამსართულია ნაგებობაა, რომელიც ნაგებია მთლიანად რიყის ქვით. შესასვლელი კოშკს მეორე სართულზე აქვს, მდინარის მხარეს. მისი კედლები აღჭურვილია სათოფურებით. ოცარცეს ციხე მყარად შეკურული სიმაგრეა და იგი რუხის ციხესთან ერთად საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა მტრის შემოსევების დროს.

# და ჩემი სახელი დიდი გქონია შენ სიუცხლეში

## კოტე აფხაზი

მუდამ გმვიდი, დარბანისელი, ზრდილობიანი და გონიერი” – კოტე აფხაზი დიდი ილიას დისწული იყო. ისტორიაში დასარჩენად მას ესაცაყოფოდა, თუმცა განიოსიბიძის სახელით მას გოროტად არასდროს უსარგებლია. თუ როგორ დასახლდა აფხაზთა საგვარეულო კახეთში, რა გზა განვლო კოტე აფხაზმა და რატომ არის იგი ყველა დროის ზნეობრივი გმირი, ამის შესახებ ჩვენს ინტერვიუში ჟურნალისტი, ისტორიკოსი ბელა სათითძე გვიხატობა.

**ბელა სათითძე:** კოტე აფხაზი არაა უბრალოდ გამოჩენილი ადამიანი, არამედ ზნეობრივი გმირია, რომელიც ყველა თაობის ქართველთათვის სამაგალითო უნდა იყოს. თუმცა, მანამ ამ პიროვნების შესახებ ვიამბობდეთ, ორიოდე სიტყვით, შევჩერდები, აფხაზთა გვარის წარმომავლობისა და მათი კახეთში დამკვიდრების საკითხზე. ერთი საუკუნის წინათ გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე დასტამბულ მცირე ზომის მასალაში ნათქვამია: „XVII საუკუნის დამდეგს აფხაზეთი აიკლეს და დაიმორჩილეს ოსმალებმა, რომელთა წყალობითაც ბატონობა დაიწყო სამეგრელოს დადიანებმა. ამისათვის ერთი წარმომადგენელი შერვაშიძის საგვარეულოსი გადმოვიდა კახეთში და მეფისაგან მიეზოძა ერთ-ერთის ამონწყვეტილის – ვაჩნაძის მამული სოფელ კარდენახში. ამის გამო ამ დროიდანვე ჰსუფევდა დაუძინებელი მტრობა აფხაზთა და ვაჩნაძეებს შორის“. ეს მომხდარა თეიმურაზ მეორის მეფობის დროს. ადგილობრივი მოსახლეობა მათ აფხაზებად იხსენიებდა. საიდანაც შემდგომში წარმომდგარა ეს გვარი...

საქართველოს ისტორიაში აფხაზთა გვარის არაერთი სახელოვანი წარმომადგენელი მოიხსენიება. აღსანიშნავია, რომ კახელ თავადაზნაურთა სიაში მათ მეცხრე ადგილი უჭირავთ, მაშინ, როცა ჭავჭავაძენი

მეთორმეტე ადგილზე არიან დაფიქსირებულნი. ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში ნათქვამია, რომ 1867 წლის 25 სექტემბერს, სოფელ კარდენახში, ცნობილი კახელი თავადიშვილის, ნიკოლოზ აფხაზისა და ნინო გრიგოლის ასულ ჭავჭავაძის ოჯახში დაიბადა ვაჟი, რომელსაც კონსტანტინე (კოტე) დაარქვესო. კოტეს გარდა მათ კიდევ სამი შვილი ჰყავდათ: გიგო, სიმონი და მაკო.

კოტე აფხაზმა პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო, 1886 წლიდან კადეტთა კორპუსის იუნკერია. 19 წლის ასაკში პეტერბურგში მიემგზავრება და საარტილერიო საქმეს ეუფლება. 1911 წელს კოტე აფხაზი, თავის ბატარეასთან ერთად, გაგზავნილი იყო სპარსეთში – თავრიზის საბრძოლო რაზმის შემადგენლობაში რამდენიმე თვით. ამის შემდეგ იგი თბილისში ბრუნდება და საადგილმამულო ბანკის საზედამხებველო კომიტეტის შემადგენლობაში შედის.

– 1913 წელს თბილისში, არჩევნების შედეგად, თავადაზნაურთა გუბერნიის ახალი წინამძღოლი, ანუ მარშალი იქნა არჩეული. როგორ გახდა კოტე აფხაზი მისი გამარჯვებული და საერთოდ, რას ითვალისწინებდა თავადაზნაურთა მარშლის ინსტიტუტი?

– ქართლ-კახეთის, შემდგომში თბილისის გუბერნიის, თავადაზნაურთა მარშლის ინსტიტუტი შემოიღეს 1802 წლის 8 მაისს, იმპერატორ ალექსანდრე პირველის დროს. მარშლებს თვალყური უნდა ედევნებინათ გუბერნიის თავადაზნაურთა მოქმედებისთვის და დაუყოვნებლივ ალექვეთათ მათ შორის წარმოშობილი უთანხმოებები. ამ წლებში აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა მარშლის პოსტი 14 პიროვნებას ეკავა; მათგან ბოლო, მე-14 – კონსტანტინე აფხაზი გახლდათ. თავადაზნაურთა დაჟინებული თხოვნის შემდეგ, კოტე





აფხაზი დათანხმდა კენჭისყრაზე და უდიდესი უპირატესობით, გაიმარჯვა კიდეც. თანამდებობაზე არჩევის პირველი დღეებიდანვე, კოტე აფხაზის საქმიანობის უპირველეს მიმართულებად იმ ხანად მიმდინარე კახეთის რკინიგზის მშენებლობის საკითხი იქცა. მძიმე ვითარება შეიქმნა კახეთის რკინიგზის მშენებლობის დამამთავრებელ ეტაპზე. ეს სირთულეები მსოფლიო ომის მიმდინარეობასთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, 1915 წლის შემოდგომისთვის, მშენებლობა ძირითადად დამთავრდა და რკინიგზა ექსპლუატაციაში შევიდა. გზა კი გაიხსნა, მაგრამ ტვირთიძევა მეტისმეტად შემცირდა. ომთან



კოტე აფხაზი მამასთან ერთად 1800 წ.

ერთად ამის ერთ-ერთი მიზეზი, იმხანად იმპერიაში მიღებული „მშრალი კანონი“ გახლდათ. მართალია, მგზავრთა რიცხვი გაიზარდა, მაგრამ მისგან მიღებული შემოსავალი სულ მცირედითაც ვერ ფარავდა ექსპლუატაციის ხარჯებს.

აფხაზს კარგად ჰქონდა მოფიქრებული, რკინიგზის საჭიროებისთვის, თუ რომელი თანხა შეიძლებოდა გამოეყენებინათ, რადგან მას დაბეჯითებით სწამდა – „კახეთის რკინიგზა, დღეს თუ ზარალშია, ხვალ უეჭველად მოგებას მოგვცემს“. რამდენიმე თვის შემდეგ, 18 მილიონ მანეთზე მეტად ღირებული კახეთის რკინიგზა, კოტე აფხაზმა, ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის სხვა უძრავ-მოძრავ ქონებასთან ერთად, პირველ ეროვნულ ყრილობაზე ქართველ ერს მიართვა ნობათად...

**– პირველი მსოფლიო ომის წლებში როგორ გრძელდება კოტე აფხაზის მოღვაწეობა?**

– პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვის წინადადებით, კოტე აფხაზი ისევ ნამდვილ სამხედრო სამსახურს უბრუნდება... დეკემბერში თურქეთის, არმიამ ენვერ ფაშას სარდლობით, წარმატებული შეტევა წამოიწყო რუსეთის არმიების წინააღმდეგ. კავკასიის ადგილობრივმა ხელისუფლებამ სავაკუაციო მზადება დაიწყო. მეფისნაცვლის მოადგილე, კავკასიის არმიის ჯარის სარდალი, ინფანტერიის გენერალი – მიშლავესკი ფრონტის წინა ხაზიდან გამოიქცა... რეზოგაბაშვილი იგონებს: „ამ უტიფარმა „სარდალმა“, წინადადება მისცა საქართველოს თავადაზნაურობასა და ხალხს: „რუსეთის ჯარი სტოვებს კავკასიას; ქართველმა ხალხმა უნდა დაანგრის ხიდები, სახლები, გადასწვას ბაღ-ვენახები და ყანები, უკან

დაიხიოს რუსის ჯართან ერთად, რომ შემოსულ მტერს მხოლოდ უდაბნო დახვდეს, საცა ვერც სანოვანე, ვერც ბალახი, ვერც ცხენი და ურემ-საქონელი და არც ადამიანი დარჩეს გამოსაყენებლადო...“. მიშლავესკი ამასთან გვპირდება – „თბილისსა და სხვა ქალაქებს ისე ავაფეთქებთ ჩვენ თვითონ, რომ ქვა-ქვაზე არ დარჩეს ოსმალებს თავშესაფარავადო...“.

„კოტე აფხაზმა ჩახლეჩილი ხმით ეს რომ წაგვიკითხა, კრებულს ჩოჩქოლი შეუდგა. არადა, ოფიციალურ დაწესებულებას არ შეეძლო ოფიციალურ წინადადებაზე პასუხი არ მიეცა“.

მადლობა ღმერთს, რომ მშობარა და პროვოკატორი რუსის გენერლის ამ ჩანაფიქრს, აღსრულება არ ეწერა. იგი „მაშინვე გადააყენეს“, თორემ ალა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის მიწასთან გასწორება, მასთან მონაგონი იქნებოდა.

**– ამის შემდეგ რა ხდება?**

– ამავე წლის მარტში, კოტე აფხაზი თავისი ბრიგადით, დასავლეთის ფრონტზე გაემგზავრა, სადაც წლის ბოლომდე დაჰყო. ქართველი თავადი ყურადღებას იქცევდა თავისი სიმამაცითა და თავდადებით. გულმოდგინე სამსახურისათვის, უმაღლესი ბრძანებით, მას პოლკოვნიკის ნამდვილი სამხედრო წოდება მიენიჭა.

**– რა წვლილი მიუძღვის კოტე აფხაზს ქართული უნივერსიტეტის დაარსებაში?**

– ქართული უნივერსიტეტის დასაარსებლად, რუსეთში წინასწარ გაწეული ნაყოფიერი მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ, 1917 წლის აპრილს, ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგიდან თბილისში დაბრუნდა... 12 მაისს, თბილისში იკრიბება ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის საზოგადოება, რომელიც შემდგომ ამ საზოგადოების დამფუძნებელ კრებად იქნა მიჩნეული. კრებაზე დამსწრე ქართველი მეცნიერების, მწერლების, კულტურისა და საზოგადოების 28 წარმომადგენელს შორის არის კოტე აფხაზიც. აქედან მოყოლებული, იგი გვერდიდან არ მოსცილებია ივანე ჯავახიშვილს. თავისი ავტორიტეტული სიტყვითა და საქმით ეხმარებოდა მას უდიდესი ჩანაფიქრის ხორცშესხმისათვის ბრძოლაში.

**– რა საქმიანობას ეწევა კოტე აფხაზი საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში?**

– კოტე აფხაზი უდიდესი სიხარულით შეხვდა



## მატეანე

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ამ დროისათვის იგი „უპარტიოთა კავშირის“ თავმჯდომარე იყო და საბჭოში უპარტიოთა ფრაქციას ხელმძღვანელობდა. ემიგრაციაში წასულ მთავრობას ასეულობით ქართველი ოფიცერი არ გაჰყოლია. მათ შორის, ვინც საქართველოში დარჩა, კოტე აფხაზიც გახლდათ... 1922 წლის შემოდგომაზე, ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ, მთელი სისასტიკით ჩაახშო ხევსურეთის აჯანყება. საგანგებო კომისია („ჩეკა“) დაუყოვნებლივ შეუდგა მემამბოხეთა დაპატიმრებას. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური კომიტეტი სასწრაფო ზომებს იღებს ყველა იმ პირის გადასარჩენად, ვინც „დამნაშავეთა“ სიაში იყო შეტანილი. კოტე აფხაზი ცხოვრობდა თავის ძველ ბინაზე სოლოლაკში, როდესაც ერთ საღამოს, კომიტეტის დავალებით, მას ეწვია ამ კომიტეტის დელეგატი. მან უთხრა: „ბატონო კოტე, კომიტეტმა გამომგზავნა გასაფრთხილებლად, რომ „ჩეკა“ დაეძებს საბაბს თქვენს დასაჭერად. დაჭერა არ აგცდებათ. რადგან არალეგალურ მდგომარეობაში გადაყვანა თქვენისთანა პიროვნებისა შეუძლებელია, ამიტომ გადავწყვიტეთ, ყველაფრით მოგეხმაროთ და საზღვარგარეთ გაგისტუმროთ, სადაც თქვენი ცოლ-შვილი იმყოფება“.

– რა უპასუხა მას აფხაზმა?

– „დიდად მაღლობელი ვარ კომიტეტისა მზრუნველობისათვის, მაგრამ ჩვენს ქვეყანასა და ხალხს ვერ მივატოვებ ამ მისი ბრძოლის გაჭირვების ხანაში. გარდა ქართულ ძველ ისტორიულ ტრადიციისა, რომელიც ასეთ დროს იშვიათად ატოვებინებდა ქართველ კაცს თავის სამშობლოს, სად გაგონილა,

რომ ღენერლები ჯარს ბრძოლის ველზე სტოვებდნენ და გარბოდნენ... მე ვრჩები და დავრჩები ბოლომდე, რათა დავეხმარო საქართველოს მებრძოლ ბანაკს მისი გათავისუფლებისათვის ბრძოლაში“.

– ამის შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები?

– 1923 წლის თებერვალში საოკუპაციო ძალა, თავისი აგენტების საშუალებით, არკვევს შეთქმულთა ვინაობას, ატუსაღებს მათ... თითქმის სამი თვე მიმდინარეობდა დაპატიმრებულთა არაადამიანური ტანჯვა-წამება, გასამართლების გარეშე, დახვრეტა მიუსაჯევს 15 ქართველ ოფიცერს (მათ შორის იყო კოტე აფხაზიც), რაც მეორე დღესვე სისრულეში მოიყვანეს – ქალაქგარეთ, აწინდელი ვაკის პარკის მიდამოებში. ახლა ამ ადგილას ამ ამბის მაუწყებელი აბრაა აღნიშნული. კომუნისტების პერიოდში კი საზოგადოებრივი ტუალეტი ფუნქციონირებდა...

– რა არის ცნობილი კოტე აფხაზის ემიგრაციაში წასული ცოლ-შვილისა და შთამომავლების შესახებ?

– კოტე აფხაზი დაქორწინებული იყო პოდპოლკოვნიკ იასონ იოსელიანის ქალზე, რომელსაც ელენე ერქვა. მათ ორი ვაჟი ჰყავდათ – ნიკოლოზი და ილია. ილია მცირეწლოვანი გარდაიცვალა. ემიგრაციაში წასული ელენე ვაჟთან ერთად პარიზში დამკვიდრებულა და სიცოცხლეც იქ დაუსრულებია. დედის გარდაცვალების შემდეგ ნიკო აფხაზი კანადაში გადასახლებულა, სადაც გარდაიცვალა კიდეც – 1987 წელს ღრმად მოხუცებული, უშვილძიროდ. ამით არსებობა შეწყვიტა კოტე აფხაზის საგვარეულო შტომ.

იპა სალაღია



კოტე აფხაზი  
თანამიანბროლუბთან ერთად  
20 მაისს დახვრიტან დღევანდელი  
„შაჰის კარკის“ ტერიტორიაზე

### კოტე აფხაზის სიკვდილზე

როს ჩვენი დროის რეკვენობის მწიწრ ანარეკლად, ჩვენში მატურებს ისე დგამენ, ვით თივის ზვინებს, თავისის ფესით აღის ბრიუვი კვარცხლბეკზედ ძეკლად და ჯალათობა სათნოების იწნავს გვირგვინებს. შენ მოკლებული საფლავისა მეუდრო სიამეს, განუბანელი აიაზმით აღის წულეებიდგან, უცდი, შემოვა მტრის ბანაკში ეტლი ჰრიაძის, რომ გამოიხსნას შვილის გვამი მტრის ხელებიდან. და გენატრება შენ საფლავი სადმე მდელაოხედ, რომ უდგეს ბუნქი, სედ ბილიკი ჩაუდიოდეს რომ კვლავ შეგეძლოს გადმოხედვა საქართველოზედ და შენი გული იმის ბედზედ აღარ სჩიოდეს. არ ითაკილებს ჩვენი დრო, რომ გაცხადეს ლეში, ჩვენ მწუსარ გულებს შენი ფიქრი მაინც უნათებს, და რომ სასული დიდი გქონია შენ სიცოცხლეში, ესლა შენ ამას ვედარავინ დაგამუნათებს!

შალვა ამირეჯიბი



# ვიც გააუფინა კანადაში აფხაზური ბაღი

## ნიკოლოზ აფხაზი

ნიკოლოზ აფხაზი 1899 წლის 14 მაისს დაიბადა თბილისში ილია ჭავჭავაძის დისშვილის, ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის, გენერალ კონსტანტინე (კოტე) აფხაზისა და ელენე იოსელიანის ოჯახში.

ნიკოლოზ აფხაზის წინაპრები დიდგვაროვანი აფხაზი თავადები – ანჩაბაძეები იყვნენ, რომელთაც აფხაზეთი მუსლიმანთა მოძალებისას XVII საუკუნეში დატოვეს და კახეთში, სოფელ კარდენახში დასახლდნენ. ანჩაბაძეებს არ დაუკარგავთ თავიანთი თავადური ტიტული. მათ აფხაზის ფსევდონიმი დაიმკვიდრეს.

ნიკოლოზ აფხაზმა 1918 წელს დაამთავრა თბილისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია. 1918-

1921 წწ. მსახურობდა ქართულ ჯარში. 1921 წელს, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ნიკოლოზი და ელენე საფრანგეთში გაიხიზნენ და მოუთმენლად ელოდნენ კოტეს ჩასვლას...

საქართველოში დარჩენილი კოტე აფხაზი კი შეურიგებლად იბრძოდა დამპყრობლების წინააღმდეგ. 1922 წელს, ხევსურეთისა და სვანეთის აჯანყებების დამარცხების შემდეგ, სათავეში ჩაუდგა დამოუკიდებლობის კომიტეტს და მისი ინიციატივით შექმნილ კომიტეტის სამხედრო ცენტრს, რომელიც კოორდინაციას უწევდა საყოველთაო-სახალხო ეროვნული ამბოხების მომზადებას. 1923 წლის თებერვალში კოტე აფხაზი და სამხედრო ცენტრის 14 წევრი დააპატიმრეს. 14 მაისს საშინელი წამების შემდეგ ყველანი დახვრიტეს დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე.

მამის დახვრეტისა და მამულების ჩამორთმევის შემდეგ, პარიზში უსახსროდ დარჩენილ ნიკოლოზს მოუწია თავადვე ეზრუნა მომავალზე. 1926 წელს პარიზში დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიიღო დოქტორის ხარისხი, მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში, ჰქონდა საადვოკატო პრაქტიკა. ჰყავდა მდიდარი ამერიკელი კლიენტები, მათ შორის ამერიკელი ცოლქმარი კელები. მათ ნიკოლოზ აფხაზს სამეურვეოდ მიანდეს



ნიკოლოზ აფხაზი

შესანიშნავი კარ-მიდამო და 120 ოთახიანი სასახლე, სადაც II მსოფლიო ომამდე დედასთან ერთად ცხოვრობდა.

ნიკოლოზ აფხაზი და დედამისი ქართული სათვისტომოს აქტიური წევრები იყვნენ. ელენე მეგობრობდა ცნობილ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწესთან, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერთან გიორგი გვაზავასთან და მისი ვაჟის ჯამლეთის ნათლიაც გახდა.

1930-იანი წლების დამლევს ნიკოლოზ აფხაზი ოფიცრის წოდებით შევიდა სამხედრო სამსახურში, საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში. II მსოფლიო ომის დროს იბრძოდა გერმანელების წინააღმდეგ. საფრანგეთის კაპიტულაციის შემდეგ გახდა გენერალ შარლ დე გოლის მეთაურობით გაშლილი "საფრანგეთის წინააღმდეგობის"



ნიკოლოზის მეუღლე მარჯორი (პეგი) ჰემბერტონი-კარცერი



მოდრაობის აქტიური წევრი. იბრძოდა ჩრდილოეთ აფრიკაში, ალჟირსა და ლიბიაში. გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოვებული იყო საფრანგეთის რამდენიმე პრესტიჟული სამხედრო ჯილდოთი, მათ შორის საპატიო ლეგიონის ორდენით. ერთ-ერთი ოპერაციის დროს ტყვედ ჩავარდა, იჯდა საკონცენტრაციო ბანაკში. ამ ამბავმა მოუსწრაფა სიცოცხლე ელენეს. ნიკოლოზი ტყვეობიდან 1944 წელს განთავისუფლდა. 1946 წელს კანადაში გადავიდა საცხოვრებლად.

1921 ნიკოლოზ აფხაზმა პარიზში გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე მარჯორი (პეგი) ჰემბერტონ-კარტერი (1902-1994), რომელსაც დიდი ოჯახური ტრაგედია ჰქონდა გადატანილი. პეგი 3 წლის ასაკში დაობლდა, მზრუნველები ყურადღებას არ აქცევდნენ. საბოლოოდ ბავშვი მდიდარმა ოჯახმა იშვილა, მამობილის გარდაცვალების შემდეგ, დედობილთან ერთად ბევრს მოგზაურობდა და ხშირად იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს. მას მიმოწერა ჰქონდა ნიკოლოზთან, მეგობრობდა და როცა პარიზში ჩადიოდა ხვდებოდა.

1946 წელს ნიკოლოზ აფხაზი და პეგი ნიუ-იორკში დაქორწინდნენ და დასახლდნენ კანადაში, ბრიტანეთის კოლუმბიაში, კუნძულ ვანკუვერის ქალაქ ვიქტორიაში. შეიძინეს მოზრდილი ნაკვეთი და ულამაზესი ლანდშაფტური ბაღი გააშენეს კანადის მკაცრ კლიმატურ პირობებში. ცოლ-ქმარი 40 წელი ატარებდა ექსპერიმენტებს, ანახლებდა და ალამაზებდა ბაღს, რომელიც პეგის სიტყვებით "სიყვარულით აშენდა".

"აფხაზების ბაღი" არა მარტო კანადის, არამედ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და გამორჩეული ბოტანიკური ბაღია. შეტანილია არაერთ საცნობარო გამოცემაში. ბაღში როდოდენდრონების უნიკალური კოლექციაა, რამდენიმე მათგანი აფხაზის გამოყვანილია და რეგისტრირებულია სამეფო საბაღე საზოგადოების მიერ. ბაღის შუაგულში მდებარეობს აფხაზების სახლი, რომელშიც დღეს ბაღის ადმინისტრაციაა განთავსებული.

ნიკოლოზ აფხაზი საადვოკატო საქმიანობასაც ეწეოდა. გარდაიცვალა 1987 წლის 25 დეკემბერს, პეგი - 1994 წელს. ანდერძის თანახმად, კრემაციის შემდეგ, მათი ფერფლი საყვარელ ბაღში მიმოაბნინეს.

აფხაზების გარდაცვალების შემდეგ, ბაღმა რამდენიმე პატრონი გამოიცვალა, 1999 წლის ბოლოს ბაღი ერთ-ერთმა სამშენებლო კომპანიამ შეიძინა საცხოვრებელი კომპლექსის ასაშენებლად. ეს ამბავი გახმაურდა და მთელს ქვეყანაში ბაღის გადასარჩენი კამპანია გაიმართა. 2000 წლის 17 თებერვალს ბაღი გამოისყიდა ბრიტანეთის კოლუმბიის ბუნების დაცვის საზოგადოებამ. "აფხაზების ბაღი" დღესაც ცოცხლობს.

აფხაზების ცხოვრება აღწერა კატერინა გორდონმა ნიგში "უცნაური ცხოვრება", სადაც არაჩვეულებრივადაა წარმოდგენილი ბაღისა და მისი პატრონების ისტორია.

ნიკოლოზ აფხაზსა და მარჯორი (პეგი) ჰემბერტონ-კარტერს შთამომავლობა არ დარჩენიათ.






## ხატოვანი გამონათქვამები

### ბარსია მარკაისის 13 გენიალური ფრაზა:

- 1) მე შენ მიყვარხარ, არა იმიტომ ვინც ხარ შენ, არამედ იმიტომ რომ ვინ ვარ მე როცა შენს გვერდით ვარ.
- 2) არცერთი ადამიანი არ იმსახურებს შენს ცრემლებს, ხოლო ის ვინც იმსახურებს, არასოდეს აგატირებს შენ.
- 3) მხოლოდ იმიტომ, რომ ვილაცას არ უყვარხარ ისე, როგორც შენ გიძნა რომ უყვარდე, იმას არ ნიშნავს რომ, იმ ადამიანს მთელი გულით არ უყვარხარ!
- 4) ნამდვილი მეგობარი ის არის, რომელსაც უჭირავს შენი ხელი და გრძნობს შენს გულს.
- 5) ყველაზე საშინელი მონატრებაა, იყო მის გვერდით და აცნობიერებდე, რომ ის არასოდეს იქნება შენი!
- 6) არასოდეს მოიშალო სახეზე ღიმილი. მაშინაც კი, როცა სევდიან განწყობაზე ხარ ვილაცას შეიძლება შენი ღიმილი შეუყვარდეს.
- 7) შეიძლება ამ სამყაროში მხოლოდ ადამიანი ხარ, მაგრამ ვილაცისთვის მთელი სამყარო ხარ.
- 8) შეიძლება ღმერთს სურს ჩვენ ვხვდებოდეთ უვარგის ადამიანებს მანამ, სანამ შევხვებით იმ ერთადერთს.. იმიტომ რომ, როცა ეს მოხდება ჩვენ მაღლიერი ვიყოთ.
- 9) ნუ ტირი იმიტომ, რომ ეს დამთავრდა. გაიღიმე იმიტომ რომ ეს იყო.
- 10) არ ფანტო დრო იმ ადამიანზე რომელიც არ ისწრაფვის რომ დრო შენთან გაატაროს
- 11) ყოველთვის მოიძებნებიან ისინი ვინც ტკივილს მოგაყენებს, მაგრამ არ უნდა დაკარგო რწმენა ადამიანების მიმართ, უბრალოდ ცოტა ფროთხილად იყავი.
- 12) გახდი უკეთესი და შენვე მიხვდი ვინ ხარ, სანამ შეხვდები ახალ ადამიანს იმ იმედით, რომ შენ ის გაგიგებს, შეგიცნობს.
- 13) ნუ გამოავლენ ესოდენ ძალისხმევას, ყველაფერი საუკეთესო მოულოდნელად ხდება!



## ბებოს ხჩევები

- ◆ სარკე იპრიალებს, თუ წყალში ცოტაოდენ ლილას შეურევთ. სარკის გაპრიალება ჩაის ნაყენითაც შეიძლება.
- ◆ მიმწვარი ჭურჭელი ჩაალბეთ წყალში, დაუმატეთ ჭურჭლის სარეცხი საშუალება და მარილი. გააჩერეთ ცოტა ხანს და შემდეგ გარეცხეთ.
- ◆ თუ თქვენ გახჭურის ღუმელს ხშირად იყენებთ, გასაკვირი არაა, რომ ჩამჯდარ ცხიმთან გამკლავება მოგიწევთ. წვრილ სახეხზე გახეხეთ საყოფაცხოვრებო საპონი, გაურიეთ წყალში და დაუმატეთ სოდა. მიღებული სითხით განწმინდეთ ღუმელის კედლები.
- ◆ მიკროტალღურ ღუმელში დადგით წყლით სავსე ღრმა თეფში. ცხელი ორთქლი დაალბობს წარმოქმნილ ჭუჭყსა და ცხიმს და თქვენ მას უპრობლემოდ გწმენდთ.
- ◆ ცხიმის ლაქებს ადვილად მოაშორებთ ბენვეულიდან, თუ მათ მარილისა და ნიშადურის სპირტის ნარევით დაამუშავებთ.  
(1 ჩ/კ) ნიშადურის სპირტი, 3 ჩ/კ მარილი 500 მლ. წყალზე)



# ნიორის 10

სასარგებლო  
რჩევა



**დღესმოდურისაკვირიდანამატაპიყველა  
დაავადებისგან განაწურებას გპირდებით.  
ჩვენ კი გთავაზობთ საშუალებას, რომლის  
მრავალფუნქციურობაც საუკუნეების  
განმავლობაშია დამტკიცებული.**

**ეს უაღრესად სასარგებლო პროდუქტი  
– ნიორი ყველა სახლში უნდა იყოს. მისი  
გამოყენებისთვის ყველაზე შესაფერი დრო  
კი ზამთარია.**

ავად გახდომას თავი რომ ავარიდოთ, იმუნიტეტი  
უნდა გავაძლიეროთ, რადგან გაციების გამომწვევი  
ვირუსებისგან ხშირად ძლიერი ანტიბიოტიკებიც  
ვერ გვიხსნიან. საუკეთესო ბუნებრივი  
იმუნომოდულატორი კი სწორედ ნიორია. დღეს ის  
ერთადერთ ეფექტურ საშუალებად მიიჩნევა.

თუ მაინც გახდით ავად, ისუნთქეთ ნიორი. მას  
დაახლოებით 20 სანტიმეტრის  
მანძილზე თქვენს ორგანიზმში  
მოხვედრილი ვირუსებისა  
და მიკრობების, დაავადების  
გამომწვევი ყველა ბაქტერიის  
განადგურება შეუძლია. ამასთან  
ტოქსიკურ მოქმედებასაც არ  
ახდენს.

დაავადების საწყის ეტაპზე  
დასამარცხებლად, ხველისა და  
პნევმონიის განსაკუთრად, უნდა  
მოამზადოთ ასეთი ნაყენი: ერთი ჭიქა  
რძე დაასხით წვრილად დაჭრილ  
4 კბილ ნიორს. რძე ადუღებამდე  
მიიყვანეთ, განურეთ და გემოვნების  
მიხედვით დაუმატეთ თაფლი ან  
კარაქი. ეს ნაყენი დღეში 3–4–ჯერ,  
ცხლად, პატარა ყლუპებით დალიეთ.

ორგანიზმის ისეთი მძიმე,  
მავნებელი ნივთიერებებისგან  
გასათავისუფლებლად, როგორიცაა  
ტყვია, ვერცხლისწყალი, კადმიუმი  
ერთი კბილი ნიორის მირთმევაც  
საკმარისია. ბუნების ამ საჩუქარს  
სისხლძარღვების განმენდისა

და ათეროსკლეროზის განვითარებისთვის  
წინააღმდეგობის განწევის უნარიც აქვს. სამი  
თვის განმავლობაში ნიორის გამოყენებით  
ქოლესტერინის 20%-ის გაქრობა შეიძლება.

სისხლში ტრომბების ჩამოყალიბების თავიდან  
ასაცილებლად და ვენების გასამაგრებლად,  
სასარგებლოქენებასეთინამლისმილება:250გრამი  
ნიორი დააქუცმაცეთ და მიღებულ მასას დაასხით  
350 გრამი ახალი თაფლი. ინგრედიენტები კარგად  
აურიეთ ერთმანეთთან და 7 დღის განმავლობაში  
ბნელ ადგილას დადეთ. ნივთიერების, სახელად  
ადენოზის წყალობით სისხლში ტრომბოციტების  
რაოდენობა ნორმალიზდება, სისხლი კი არ დედება.  
ეს განსაკუთრებით აქტუალურია ჰემოროით,  
ტრომბოფლებიტით, ვარიკოზებით დაავადებული  
ადამიანებისთვის, ასევე ქალბატონებისთვის, ვინც  
ჩასახვის სანინააღმდეგო აბებს იღებს. წამალს  
თვენახვერის განმავლობაში დღეში სამჯერ  
ჭამამდე 30 წუთით ადრე ერთი სუფრის კოვზის  
ოდენობით სვამენ.

ნიორი ორგანიზმის ზოგად ტონუსს,  
შრომისუნარიანობას, სინამდვილის აღქმის  
სიმძაფრეს, ცხოვრებისადმი ინტერესს ამაღლებს.  
ნივრის კბილების დაჭყლეტის დროს წარმოიქმნება  
განსაკუთრებული ნივთიერება – ალიქსინი,  
რომელიც სტრესისადმი მდგრადობას ზრდის და  
ორგანიზმს სიმსივნური დაავადებებისგან იცავს.

თუ გინდათ ყურადღების კონცენტრირების  
ამაღლება, შემოქმედებითი უნარების გაძლიერება,  
აზროვნების პროცესის გააქტიურება, მეხსიერების  
გაუმჯობესება – აუცილებლად უნდა მიირთვათ  
ნიორი. ის თავის ტვინის უჯრედებს აუცილებელი  
ნივთიერებებით ამარაგებს და მის სისხლძარღვებს  
ასუფთავებს.

ნიორის ჭამა დაგეხმარებათ ზედმეტი წონის  
მოშორებაშიც. ეს პროდუქტი წვავს შაქარს,  
ამცირებს ტკბილეულის მიღების სურვილს,  
ახანგრძლივებს დანაყრების გრძობას და  
ეხმარება ადამიანს წონის ნორმაში შენარჩუნებაში  
მოწვევისთვის თავის დანებების დროს.



# ბრედ ბარი XXI-ე საუკუნის საცხობი

**ბრედ ბარი** - ეს პურ-ფუნთუშეულსა თუ საკონდიტრო ნაწარმის ცხოების უახლესი ტექნოლოგიები და თანამედროვე საწარმოო დანადგარებია, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს მომხმარებელთა მზარდ მოთხოვნებს!

იგი დიდხანს ინარჩუნებს საგემოვნებო თვისებებს, რადგან მზადდება ეკოლოგიურად სუფთა ხორბლის ფქვილისაგან, არ შეიცავს საფუარს, არომატიზატორებსა და კონსერვანტებს!

მაშასადამე, ბრედ ბარის ნაწარმი, ამავე დროს, დაბალკალორიულიცაა!

ბრედ ბარის ასორტიმენტის მრავალფეროვნება მოიცავს ქვავისა და თეთრ პურს, ფრანგული ტექნოლოგიითა და ინგრედიენტებით გამომცხვარ საკონდიტრო ნაწარმს, საფირმო სოუსებს მისადაგებულ სალათებს, ქართულ, ტრადიციულ, სხვადასხვა შიგთავისის მქონე ღვეზელებს, სადაც ცომის მინიმალური რაოდენობაა!

ბრედ ბარი აგრეთვე შემოგთავაზებთ იტალიური ყველით, ძეხვეულითა და, რაც მთავარია, იტალიური რეცეპტურით გამომცხვარ პიცას!

ბრედ ბარი ცხოების განსხვავებული რეცეპტების სიმრავლითა და ახალ-ახალი საგემოვნებო თვისებებით ამდიდრებს პურ-ფუნთუშეულსა თუ საკონდიტრო ნაწარმს!



**თბილისი. ყიფშიძის ქ.№2**  
**ტელ: 577 43 00 00**

ჩვენი  
პროექცია  
პრომეცუა და  
ვემრიცხა!

